ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 3 იანვარი, 2018 | №1 (7546) | ფასი: 50 თეთრი

## სანდრო გირგვლიანის საქმეზე მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი დღეს განახლდება



გვ.2

28 დეკემბრიდან ჩემი შემეცნებითი ახალი წელი

ფასი გაზეთთან ერთად 5.50 ლარი



# „გახარია პრემიერობაზე ფიქრს უნდა დაემშვიდობოს. ივანიშვილმა ამ პოსტზე ბახტაძის კანდიდატურა შეარჩია“



გვ.3

ლადო სადღობელაშვილი: „ჩინოსნები ნაშებსაც კი ბიუჯეტის ხარჯზე ინახავენ“

## პანკისელი უხუცესები გამოძიებას უნდობლობას უცხადებენ

გვ.2





გვ.4

## „ოთარ ფარცხალაძე „ოცნებაში“ შეგზავნილი იყო“

პეტრე მამრაძე: „კახიშვილი კარგი მთავარი პროკურორი იქნებოდა“

## ვახტანგ ძაბირაძე: „ხელისუფლებას ერთი წელი კიდევ აქვს“



გვ.2

## რა იქნება 2018 წლის ძირითადი გამოწვევები




გვ.4

### სამართალი

გვ.7



ახალი წლიდან სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლის წესი ამოქმედდა



თურქეთში ყაჩაღობის ფაქტზე სამი ქართველი დააკავეს



სასულიერო პირებს ქურმუხის ეკლესიის შესაძლო დარბევაზე ინფორმაცია არ აქვთ

### ეკონომიკა

გვ.6

რა აფერხებს საქართველოში თიზების განვითარებას?



2006 წლის პირველ აპრილამდე გაცემულ მართვის მოწმობებს 2018 წლის პირველი იანვრიდან იურიდიული ძალა კვლავ უნარჩუნდებათ




ჭკვიანმა კამერებმა ერთ თვეში 31.377 დარღვევა დააფიქსირეს



ISSN 1987-9385

3 — 2018 წლიდან სათამაშოების უსაფრთხოებას კანონი დაარეგულირებს

5 — ქართველი გამომგონებლების მიერ შექმნილი ინოვაციური პროდუქტები

5 — „ლუხუნი 2“ ჰესი აუქციონზე 11.5 მილიონ დოლარად იყიდება

5 — იანვრიდან სამედიცინო დაწესებულებები ვალდებული იქნებიან, პაციენტებს ელექტრონული რეცეპტები გამოუწერონ

# ვახტანგ ძაბირაძე: „ხელისუფლებას ერთი წელი კიდევ აქვს“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში 2018 წლის პოლიტიკურ გამოწვევებზე საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, 2017 წელს რა იყო მთავარი გამოწვევა ხელისუფლებისთვის და რა რჩება 2018 წელს?***

– ჩვენი ქვეყნისთვის ზოგადად მთავარ გამოწვევად სოციალური და ეკონომიკური პრობლემები რჩება. არის გამოწვევები, რომლებიც ერთ წელიწადში და არც ორ წელიწადში ვერ მოგვარდება და ეს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემაა. ეს არის მუდმივი პრობლემა, ამ პარამეტრით ხელისუფლების ყოველდღიურ საქმიანობას ვერ შევაფასებთ.

სოციალური და ეკონომიკური ვითარება სხვა პარამეტრია. არავინ ითხოვს, რომ ქართული ეკონომიკა ერთ წელიწადში დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკის შესაბამისობაში მოვიდეს, მაგრამ გარკვეული გაუმჯობესება რომ უნდა იყოს, ეს უდავოა. ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზეა აქ საუბარი, სამწუხაროდ, ეს გამოწვევა დღემდე რჩება ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად.

სოციალური კუთხით კიდევ უფრო რთულად დგას საკითხი, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი არ იძლევა სახარბიელო სურათს ზოგადად. ამ პრობლემების მოგვარება თავის მხრივ მნიშვნელოვან ფუნდამენტურ საკითხს უკავშირდება, რაც ხელისუფლების რეალურ რეორგანიზაციას გულისხმობს. თანამედროვე ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას ვერა და ვერ ვახერხებთ. ამას დრო არ სჭირდება, ამას პოლიტიკური ნება სჭირდება, რაც, სამწუხაროდ, ხელისუფლებას არ აქვს. ეს ყველაფერი კი მიდის იმ საკითხამდე, რასაც კონსტიტუცია და მისი შესწორება ჰქვია.

რეალურად ეს არ არის ის კონსტიტუცია, რომელიც ჩვენს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ რეალობას არის მორგებული. შესაბამისად, კონსტიტუციის გადასინჯვა კვლავ რჩება მტკივნეულ საკითხად. კონსტიტუცია უნდა დაედოს საფუძვლად სახელმწიფო სისტემის რეფორმირებას და ამიტომ ვამახვილებ ყურადღებას ამ საკითხზე.

***– შეიძლება ვთქვათ, რომ გასულ წელს საგარეო მიმართულებით უფრო იყო წარმატებული ხელისუფლება, ვინაიდან მივიღეთ ვიზალიბერალიზაცია, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჯაველინების შეძენის შესაძლებლობა?***

– საგარეო მიმართულებით შედარება არ შეიძლება, რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით წარმატებული წელი იყო. თქვენ მიერ დასახელებული მაგალითები არის წარმატების შედეგი და აქვე აღვნიშნავდი იმ ტერაქტის აღკვეთასაც, რომელიც უფრო არის გლობალური საკითხი, ვიდრე საშინაო.

ასევე, უნდა ვთქვა, რომ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობა სხვა განზომილებაში გადავიდა. ეს ჩანს თუნდაც ჯაველინების საკითხის დადებითად გადაწყვეტითაც.

აქვე ვიტყოდი აბრეშუმის გზისა და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობაზე. ეს ის საკითხებია, რომლებიც შეიძლება დღეს არა, მაგრამ თავის შედეგს ხვალ აუცილებლად მოიტანს.

***– ბატონო ვახტანგ, ქვეყანაში პოლიტიკური პროცესი მმართველი პარტიის და ოპოზიციის ჭრილში რამდენად ჯანსაღად ვითარდება?***

– პოლიტიკური პროცესი მდორედ მიდის, თავის ჩვეულ კალაპოტს უბრუნდება. იმ კალაპოტს, რომელიც იყო ნაციონალური მოძრაობის მმართველობის თუ „მოქალაქეთა კავშირის“ დროს.

ქვეყანაში ნეგატიური მუხტი გროვდება და ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ მისი განმუხტვა ზუსტად ისე მოხდება, როგორც წინა შემთხვევების დროს. ჩემი აზრით, 2018 წელი გარდამტეხი წელი იქნება ამ თვალსაზრისით. ჯერჯერობით თავისი აქტიური მოქმედებებით ხელისუფლებას კიდევ შეუძლია ეს პროცესი შეანელოს ან შემოაბრუნოს. თუმცა, ამისთვის საჭირო იქნება სერიოზული ძირეული ცვლილებები.

ასევე, 2018 წელი არის საპრეზიდენტო არჩევნების წელი და ამით არჩევნების ციკლი ყველა დონეზე სრულდება. ამდენად, კიდევ ერთი წელი აქვს წინ ხელისუფლებას, რომ ცუდად მიმავალი პროცესი შემოატრიალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიტიკური პროცესები ისევ ქუჩაში გადაინაცვლებს. ამიტომ, იმედი მინდა ვიქონიო, რომ ამ ერთ წელს გამოიყენებს ხელისუფლება, რომ საკუთარ თავში მოძებნოს ძალა და ნება, რომ ეს პროცესები შემოაბრუნოს.

სხვა შემთხვევაში მივიღებთ იმ ვითარებას, რომელიც არაერთხელ გვინახავს საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში.

# პანკისელი უხუცესები გამოძიებას უნდობლობას უცხადებენ

შორენა მარსაგიშვილი

26 დეკემბერს პანკისსა და თბილისში ჩატარებული სპეცოპერაცია კვლავ ბევრ კითხვას ბადებს. ხელისუფლების მცდელობის მიუხედავად, ვერც პანკისში მოხერხდა სიტუაციის განმუხტვა. ადგილობრივები და უხუცესთა საბჭო მტკიცებულებებსა და განმარტებებს ითხოვენ.

მოსახლეობა იმითაც უკმაყოფილო იყო, რომ მათთან შეხვედრა არც მხარის რწმუნებულმა და არც ახმეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა არ ისურვეს. ამ საყვედურის შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლები უხუცესებს შეხვდნენ.

უხუცესებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე სოსო გოგაშვილიც შეხვდა. გავრცელებული ინფორმაციით, სუსის წარმომადგენელმა უხუცესებს გარკვეული მტკიცებულებები წარუდგინა, რის შემდეგაც უხუცესებმა თავიანთი პოზიცია შეცვალეს.

უხუცესთა საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ელიზბარ მარგოშვილმა შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ მათ დაკავებულების მიმართ რაღაც კითხვები გაუჩნდათ.

სპეცოპერაციისას მძიმედ დაჭრილი 19 წლის თემირლან მაჩალიკაშვილის მამა ითხოვს, რომ ეს მტკიცებულებები მასაც გააცნონ.

მალხაზ მაჩალიკაშვილი მედიასთან საუბარში ამბობს, რომ თუ შვილის დანაშაულში დაარწმუნებენ, იტყვის, რომ მასზე სიკვდილი ახი იყო.

– რაც მაგათ მიაწოდეს, ის დამონტაჟებული იქნება, თუ ყალბი იქნება, ის ანახვეს უხუცესებს. რასაც უშიშროება და სუს-ი ამბობენ, ის უხუცესთა საბჭოც მაგას იტყვის იმიტომ, რომ ისინი ერთობლივად მუშაობენ. რაც შეეხება რუსეთის საელჩოს აფეთქებას, ჩემს შვილს რაში სჭირდება რუსეთის საელჩოს აფეთქება ან მასში მონაწილეობა. ბავშვი 18 წლისაა, სად მოასწრო ამდენი რამის მოპოვება. ერთი წელი არ არის, რაც საზოგადოებაში გამოვიდა. თვალების ოპერაცია გაიკეთა და მის მერე გამოვიდა, – განაცხადა მალხაზ მაჩალიკაშვილმა.



დაჭრილი ახალგაზრდის მამა იმ თანხაზეც საუბრობს, რომელიც სპეცოპერაციის დღეს მათი ოჯახიდან ამოიღეს.

– ჩემი უმცროსი გოგო ხუთი წელია ევროპაშია. ამ ერთი თვის წინ ჩემი უფროსი გოგო ჩავიდა გერმანიაში თავის დასთან. მაგის შეგროვილი თანხა ჩამოიტანა თბილისში, რომ იქ ეყიდა ბინა და ეს თანხა ამოღებულია. არ რცხვენიათ? ნამუსი აღარ არის. ერთ-ერთი რომ იძახის, უმწეო ბავშვი ჩაითრიესო, არ ჩაუთრევიათ ჩემი ბავშვი არსად. მომაწოდეთ, მშობელი მე ვარ. მომაწოდეთ, აგერ აქ არის შენი შვილის ჩანაწერი, აქ არის შენი შვილის დანარეკი, აქ არის შენი შვილის ბანკის „შოტი“ და მე ამოვისუნთქებ. სიკვდილს ხომ ებრძვის, ვიტყვი, რომ ახი ყოფილა, მომაწოდეთ ეს ყველაფერი, – აღნიშნა თემირლან მაჩალიკაშვილის მამამ.

უხუცესების ნაწილის მიერ პოზიციის შეცვლამ პანკისელების აღშფოთება გამოიწვია. აღშფოთება გამოხატეს სხვა უხუცესებმაც.

ერთობლივი გადაწყვეტილებით, ისინი სპეცოპერაციისას დაკავებულების მშობლებსაც შეხვდნენ. ამ შეხვედრის შემდეგ მათ უკვე ძალოვანი უწყებების მიმართ გამოთქვეს პრეტენზიები.

კითხვები გაუჩნდა პოზიციაშეცვლილ უხუცეს ელიზბარ მარგოშვილსაც. ის ამბობს, რომ მშობლებისგან საპირისპირო პოზიცია მოისმინეს.

26 დეკემბრის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით უხუცესები საგანგებო განცხადების გაკეთებას აპირებენ. როგორც უხუცესთა საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა პლატონ გუნაშაშვილმა რუსთავი 2-თან საუბარში განაცხადა, ისინი გამოძიების შედეგებს დაელოდებიან და ამის შემდეგ იტყვიან სათქმელს.

გუნაშაშვილის საუბრიდან ჩანს, რომ ისინი სუს-ის მიერ წარდგენილ მასალებს დიდად არ ენდობიან.

– აქ რა უნდა აეფეთქებინათ? გოგაშვილი ამბობს, რომ რუსეთის საელჩო უნდა აეფეთქებინათ. ამას მორწმუნე ადამიანი არ გააკეთებდა. არ გვჯერა ეგ ამბები, – აღნიშნავს უხუცესთა საბჭოს წევრი.

# ცვლილებები და რეგულაციები, რომლებიც 2018 წლიდან ამოქმედდება

1 იანვრიდან მოსახლეობას დენისა და წყლის ტარიფები უძვირდება. აღნიშნული შესახებ გადაწყვეტილება წყალმომარაგებისა და კომუნიკაციების კომისიამ რამდენიმე დღის წინ, წინასაახალწლო პერიოდში მიიღო. ასევე იანვრიდან თბილისის მოსახლეობის ნაწილს გაზიც გაუძვირდება. კერძოდ, ბუნებრივი აირის ტარიფი 5 თეთრით გაეზრდებათ დიდი დიღმისა და ვარკეთილის ხუთი მიკრორაიონის (I, II, III, III ა, IV ა) მცხოვრებლებს.

**2018 წლის 1 იანვრიდან ტექდათვალიერება ამოქმედდება**

2018 წლის 1-ლი იანვრიდან პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება ამოქმედდება. თუმცა, რეფორმა მხოლოდ 8 ან მეტ ადგილიან სამგზავრო და 3,5 ტონის ზემოთ სატვირთო ავტომობილებს შეეხება. ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირება ქვეყანაში ეტაპობრივად განხორციელდება. ინსპექტირებას კი საქართველოს მთელი ავტოპარკი მომდევნო ორი წლის განმავლობაში – 2019 წლის ბოლომდე გაივლის.

**2018 წელს მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდა ქუჩაში ჩატარდება**

2018 წლის 1-ლი ნახევრიდან მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის ჩატარება მოქალაქეებს ქუჩებში მოუწევთ. ამ ეტაპზე კონკრეტული ქუჩები ცნობილი არ არის, თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პრაქტიკული გამოცდა დედაქალაქის ქუჩებში არ ჩატარდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოქალაქეებმა, რომლებსაც 2006 წლის 1-ლ აპრილამდე გაცემული მართვის მოწმობები აქვთ, მათი გამოცვლა 2018 წლის 1-ლ აპრილამდე უნდა მოასწრონ.

# სანდრო გირგვლიანის საქმეზე მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი დღეს განახლდება

მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი პროცესის გადადებას კვლავ მოითხოვს?



საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი სოფიო გოგლიჩიძე საქმის მასალებს გაეცნო, თუმცა, დღესაც მოითხოვს თუ არა პროცესის გადადებას, ჯერჯერობით არ აკონკრეტებს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სააკაშვილის სახაზინო ადვოკატმა სოფიო გოგლიჩიძემ განუცხადა.

როგორც ცნობილია, სანდრო გირგვლიანის საქმეზე მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი უკვე ორჯერ იმ მიზეზით გადაიდო, რომ ადვოკატმა საქმის მასალების გაცნობის მიზნით დრო ითხოვა.

ადვოკატი წინა პროცესზე აცხადებდა, რომ თუ 3 იანვრისთვის არ ექნება მომზადებული დასკვნითი სიტყვა, შესაძლოა გონივრული ვადა კვლავ მოითხოვოს.

პროკურორი ირაკლი ნადარეიშვილი კი ხვალინდელ პროცესზე სოფიო გოგლიჩიძის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას აპირებს, თუკი ის „პროცესის გადადებას კვლავ არარეალური მიზეზით მოითხოვს“.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გახარია პრემიერობაზე ფიქრს უნდა დაემშვიდობოს. ივანიშვილმა ამ პოსტზე ბახტაძის კანდიდატურა შეარჩია“

## ლადო სადღობელაშვილი: „ჩინოსნები ნაშებსაც კი ბიუჯეტის ხარჯზე ინახავენ“

შორენა მარსაგიშვილი

რა შეცდომებს უშვებს შინაგან საქმეთა მინისტრი, რაზე შეთანხმდნენ მოქმედი და ყოფილი ხელისუფლება, რამდენი ადამიანი უპირისპირდება „ოცნებიდან“ რეალურად ნაციონალებს, რატომ უნდა შეიცვალოს 2 წელიწადში ერთხელ მთავრობის მეთაური, ვინ აშენებს თბილისში ელიტურ ჰარამხანას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ქართული მარშის ერთ-ერთი ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

**ლადო სადღობელაშვილი:**

– ძალიან მალე ბორდელებით გაძეძგილ თბილისს კიდევ ერთი ასეთი დაწესებულება შეემატება. სასტუმრო „საქართველოს“ ადგილზე ელიტური ჰარამხანის გახსნა იგეგმება.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილი გახდა, დავით კოდუამ სხვადასხვა მეწილისგან გამოისყიდა ეს სასტუმრო და ახლა მის გაყიდვას აპირებს. შენობის შეძენა არაბებს სურთ. ოფიციალურად ისინი დიდი, გასართობი ცენტრის გაკეთებას აპირებენ. სინამდვილეში იქ ბორდელები და ჰარამხანა იქნება. ეს ჰარამხანა კეთდება არაბებისთვის, რომლებმაც აქ თავიანთი ბინძური ვნებები უნდა დაიკმაყოფილონ.

დაახლოებით ისეთივე კომპლექსი აშენდება, როგორიც რესპუბლიკის მოედანზე სასტუმრო „ივერიის“ ქვემოთ არის. არაბები უფრო სოლიდური ბორდელის გაკეთებას აპირებენ.



***– პრემიერმა იცის ეს ამბავი? ახლო წარსულში მთავრობის სხდომაზე გამოხატა აღშფოთება ამგვარი დაწესებულებების გამო.***

– პრემიერი პიარისთვის აღშფოთდა. თბილისის ცენტრში ჰარამხანის გახსნის შესახებ გიორგი კვირიკაშვილმაც იცის და კახა კალაძემაც. მეტსაც გეტყვით, ბატონ კალაძეს აქტიურად „ეჩალიჩებიან“ იმაზე, რომ რამდენიმე სართულის დაშენების უფლება მისცეს. მოლაპარაკებები აქტიურ ფაზაშია.

***– თქვენი ამის შესახებ როგორ გაიგეთ?***

– ძალიან მარტივად. სასტუმრო „საქართველოში“ ქართულ მარშს ჰქონდა ოფისი. ერთ-ერთმა ძველმა მეწილემ გვათხოვა 2 ოთახი. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენთან მოვიდნენ არაბები და იქაურობის დატოვება მოგვთხოვეს. ამ ადამიანებს თანხის ნაწილი უკვე გადახდილი აქვთ და ეს ისტორიული შენობა, ფაქტობრივად, მათი საკუთრებაა.

ჩვენ ნაციონალური მოძრაობა რომ ვყოფილიყავით, ოფისის დაცლას არ მოგვთხოვდნენ. სწორედ იმიტომ გამოგვყარეს იქიდან, რომ ქართულ მარშს წარმოვადგენთ. ქართული მარში ის ძალაა, რომელიც ბორდელებს, მამათმავლებსა და ასეთი ტიპის გარყვნილების გავრცელებას უპირისპირდება.

მინდა საზოგადოებას მივმართო და ვთხოვო, რომ თბილისის ცენტრში არაბების ჰარამხანა არ დაუშვან. ამ საკითხის მიმართ ყურადღება უნდა გამოიჩინოს კულტურის მინისტრმა. სასტუმრო „საქართველო“ ისტორიული შენობაა და მიხეილ გიორგაძეს მისი პატრონობა ევალება.

ამის ვალდებულება აქვს ეკონომიკის მინისტრსაც. „დელეცის“ სახით რომ დადის ქუმსიშვილი, ასეთ რამეებს უნდა მიხედოს.

აქვე თქვენს მკითხველს ერთ შემაშფოთებელ ამბავზეც მინდა მოვუთხრო. ეს ხელისუფლებამაც უნდა იცოდეს. საქართველოში ირანიდან ბევრი ტურისტი ჩამოდის. მათი გიდებიც ირანელები არიან. ისინი ტურისტებს ეუბნებიან, საქართველო 300 წლის წინ ირანის შემადგენლობაში იყო და დროა, დავიბრუნოთო.

დემოგრაფიული თვალსაზრისით ქვეყანაში კატასტროფული ვითარებაა. ქართველები იხოცებიან და საზღვარგარეთ გარბიან, აქაურობას კი უცხოტომელები ეპატრონებიან. ძალიან მალე მთელი ქვეყნის მასშტაბით ქართველები უმცირესობაში აღმოვჩნდებით. ამას მხოლოდ ეროვნული ხელისუფლება შეაჩერებს. ამის გაკეთება „ქართულ ოცნებასაც“ შეუძლია, მაგრამ მისი იმედი არა მაქვს.

***– რატომ არა გაქვთ დღევანდელი ხელისუფლების იმედი?***

– ამათი იმედი როგორ უნდა მქონდეს, როცა ისინი თავად ქმნიან ასეთ ვითარებას. ამათი უმოქმედობა და ასეთი ქმედებები რომ არა, ასეთ დღეში არ ვიქნებოდით. უდიდესი ნდობით მოვიდნენ, მაგრამ ბოლოს საშინელი შედეგი მივიღეთ. მთელი ეს 5 წელიწადი საშინელ ტყუილში გვაცხოვრეს.

შეეცდებიან, რომ კიდევ რამდენიმე წელი გვაცხოვრონ ტყუილში. მერე მოვა 2020 წელი და მოატრიალებენ ნაციონალებს.

***– ნაციონალების მოტრიალებაში ხელისუფლების გადაბარებას გულისხმობთ?***

– ან ხელისუფლებას გადააბარებენ, ან ოფიციალურად გაერთიანდებიან.

***– „ოცნების“ და ყოფილი ხელისუფლების ოფიციალური გაერთიანება გადაჭარბებული ხომ არ არის?***

– რატომ არის გადაჭარბებული, ისედაც ერთად არ არიან? 2020 წლისთვის ისინი ოფიციალურად გაერთიანდებიან. არ გამოვრიცხავ, რომ ერთიანი საარჩევნო ბლოკიც კი შექმნან. „ოცნება“ და ყოფილი ხელისუფლება ერთი დიდი ფურუნკულია.

***– ყოფილ ხელისუფლებაზე როცა საუბრობთ, რომელ ფლანგს გულისხმობთ, მელიასა და ბოკერიას?***

– მაგათ ცალ-ცალკე არც განვიხილავ. 2020 წლისთვის ისინი „ოცნებასთან“ გაერთიანდებიან.

***– შარშან არაერთ ინტერვიუში თქვით, ოცნებას“ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა მოუწევსო. ახლა რამდენჯერმე ახსენეთ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები. აღარ განიხილავთ ვადამდელი არჩევნების შესაძლებლობას?***

– ვადამდელმა არჩევნებმა ამ მომენტში აზრი დაკარგა. „ოცნება“ ყველაფერს გააკეთებს, რომ 2020 წლამდე მიაღწიოს. ამ გუნდში საინტერესო ამბები ხდება. ყოფილმა ნაციონალმა და ახლა „ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ვანო ზარდიაშვილმა ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა.

წლის ბოლოს პარლამენტში „ქართული ოცნების“ ბაზაზე ორი ახალი ფრაქცია შეიქმნა. ერთ ფრაქციას გოჩა ენუქიძე უხელმძღვანელებს, მეორეს – ბიძინა გეგიძე. ზარდიაშვილს ჰკითხეს, რა მოტივით გამოეყო „ოცნებას“ ეს ფრაქციებიო. ზარდიაშვილმა ამაზე უპასუხა, ენუქიძის ხალხი ეკონომიკურ ამბებს მიაწვებაო. გეგიძის ფრაქციაში, მისი თქმით, ისეთი ხალხი შევიდა, რომლებიც ნაციონალურ მოძრაობას არ ეგუებიან.

ეს ძალიან სერიოზული განცხადებაა და მინდა, რომ ხალხმა ამას ყურადღება მიაქციოს. „ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა აღიარა, რომ მმართველი გუნდი ნაციონალებს ეგუება. ყოფილი ხელისუფლების მიმართ ანტიპათია მხოლოდ იმ 7 კაცს აქვს, რომლებიც გეგიძის ფრაქციაში არიან.

რა გამოდის, 119 კაციდან 112 ნაციონალებთან არის ალიანსში? ეს სამარცხვინო საქციელი და ქართველი ხალხის დაცინვაა.

***– რატომ გაგიკვირდათ, რომ „ოცნების“ დიდი ნაწილი ნაციონალებს ეგუება. ისინი ჯერ კიდევ მოქავშირიდან მოდიან. 2012 წლამდეც ერთად იყვნენ.***



– ეს ყველაფერი ვიცი, მაგრამ მაინც გამიკვირდა. ხელისუფლების შეცვლიდან 5 წლის თავზე ჩვენ მივიღეთ პარლამენტი, რომელიც თავიდან ბოლომდე ეგუება ყოფილ ხელისუფლებას.

ჩემდა სამწუხაროდ, დამნაშავე ნაცებს პატრიოტთა ალიანსი და ირმა ინაშვილიც ეგუებიან.

***– მათი შემგუებლობა რით გამოიხატება?***

– ბევრი რამით. ამ დამნაშავეებს რომ არ შეჰგუებოდნენ, ნაცებთან ერთად არ ივლიდნენ კონსტიტუციის საჯარო განხილვებზე. პატრიოტთა ალიანსმა დიდი ღალატი ჩაიდინა, როცა ნაცებთან შეკრულ ქოცებს კონსტიტუცია გაუპრავა.

მოდით, ახლა ვთქვათ, რა არის ქოცების დაწერილი კონსტიტუცია. ამ დოკუმენტის თანახმად, საქართველოში ყველაფრის ბატონ-პატრონი ერთი კაცი ხდება. კონსტიტუციის მიხედვით, ამ ერთ კაცს მრავალი წლის განმავლობაში შეუძლია, ყველაფერი ისე გადაწყვიტოს, როგორც თავად ჩათვლის საჭიროდ.

***– იმ ერთ კაცში ივანიშვილს გულისხმობთ?***

– რა თქმა უნდა. ყველაფერი ისე მიდის, როგორც მას უნდა. ვერ ხედავთ, როგორი სისტემა შემოგვთავაზა? მთავრობის მეთაურის თანამდებობაზე ადამიანი 2 წელიწადზე მეტ ხანს არ უნდა დარჩეს. ასე იყო ირაკლი ღარიბაშვილის შემთხვევაში და ასე იქნება გიორგი კვირიკაშვილთანაც.

***– ღარიბაშვილი თითქმის 2 წელი და 2 თვე იყო პრემიერი. კვირიკაშვილს რაც შეეხება, მას ეს თანამდებობა უკვე 2 წელი და 1 კვირაა, რაც უკავია.***

– 2-3 თვე რა მოსატანია. ივანიშვილმა ქვეყანაში ისეთი სისტემა დაამკვიდრა, რომ პრემიერი 2 წელიწადში უნდა შეიცვალოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ადამიანები 2– წლიანი პროგრამებით მოდიან. ეს ძალიან ცუდია, რადგანაც გათვლა გვაქვს მხოლოდ 2 წელიწადზე.

ასეთი რამე არცერთ ნორმალურ ქვეყანაში არ ხდება. ასეთი რამე მხოლოდ აფრიკული დონის ქვეყანაში შეიძლება მოხდეს. ვართ კიდევაც აფრიკა. აფრიკა რომ არ ვიყოთ, „დელეცი“ ბიჭი ქუმსიშვილი 21-ე საუკუნეში დენს დაგვამადლიდა?! თურმე ბედნიერები უნდა ვიყოთ, რომ ახალი წლის დღეებში 24-საათიან რეჟიმში მოგვეწოდებოდა ელექტროენერგია.

თამარ ჩუგოშვილმა მორიგი უსირცხვილობა დააბრეხვა, ტარიფების გაზრდაზე უტიფრად ამბობს, რომ თურმე ეს მოსახლეობისთვის ყოფილა კარგი. დენის ფასი იმიტომ გაუზრდიათ, რომ მოსახლეობას მიაწოდონ.

ნორმალური საზოგადოება რომ ვიყოთ, ამ განცხადებებს ასე არ გავუტარებდით – ტიპები ისე განაგლდნენ, რომ 21-ე საუკუნეში წყალს გვამადლიან. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ წყლის ქვეყანაში წყალს კატასტროფული ფასი დაადეს. ძალიან მალე ალბათ ჰაერზეც დაგვიყენებენ მრიცხველებს და ჰაერზეც დააწესებენ გადასახადებს.

ხალხისთვის ამოცლილი ფულით თავად გულაობენ. გასულ წელს დეპუტატებმა 12-ჯერ მიიღეს დანამატი. მილიონერები არიან და ამათ რამდენიმე ათასი არ ჰყოფნით, კიდევ დანამატებს იწერენ, ხალხი კი ამ დროს შიმშილით კვდება.

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ყოველ წელს იცვლიან მანქანებს. ან რა გართულება აქვთ ამ ჯიპებზე. ქალაქში დადიან, ტყეში ხომ არა. ბარემ ვერტმფრენები იყიდონ და იმით იმოძრაონ.

***– არც ვერტმფრენების ყიდვა გაუჭირდებათ.***

– ვიცი, რომ არ გაუჭირდებათ და ამიტომაც ვარ ასეთი აღშფოთებული. ხალხს პურის ფული არა აქვს და ეს უნამუსოები ბიუჯეტის ხარჯზე ფუფუნებაში იხრჩობიან. საწვავისა და ტელეფონების ხარჯებს ხომ სახელმწიფო უფარავდათ და ახლა ნაშებსაც ჩვენი ფულით ინახავენ.

ნაშები ჰყავთ სხვადასხვა სამსახურში დასაქმებული, რომ მერე სახელმწიფოს ხარჯზე დაიკმაყოფილონ ვნებები. წარმოგიდგენიათ, ნაშებისთვისაც კი არ უნდათ თავიანთი ფულის გადახდა. ამის შემდეგ, როგორ შეიძლება, საქართველოს ქვეყანა ვუწოდო. ისიც კი აღარ ვიცი, რა გავაკეთო – ბიძინა 2 ვინატრო თუ აშშ-ის მიერ საქართველოს ოკუპაცია. იქნებ ამერიკელებმა მაინც ჩამოშალონ ეს მახინჯი სისტემა.

ეს ამბავი კარგად არ დამთავრდება. ხალხმა თუ არ გამოიღვიძა, ჩათვალეთ, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, დამთავრებულია, ისევე, როგორც გიორგი გახარიას გაპრემიერების ამბავი დამთავრდა.

ადრეც არაერთხელ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო გახარიას გაპრემიერება. ზვიად რატიანთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ შს მინისტრმა ეს შანსი ხელიდან გაუშვა. მან საზოგადოების თვალში ბევრი მინუსი ჩაიწერა.

როგორც წესი, საქართველოში ყველაზე ძნელი ინტელიგენციის კეთილგანწყობის მოპოვებაა. მნიშვნელობა არა აქვს, ეს ინტელიგენცია წითელი იქნება თუ გარყვნილი. სხვა საკითხია, რატომ უწოდებს ეს ხალხი თავის თავს ინტელიგენციას. ყველაფრის მიუხედავად, მასთან დაპირისპირება ძალიან წამგებიანია.

საქართველოში ყველა ხელისუფლების ლიდერი იმაზე ჩალიჩობდა, რომ ამათი გული მოეგო. გახარია პირდაპირ კონფრონტაციაზე წავიდა.

***– გახარიას რა უნდა ექნა, რატიანისთვის გინების გამო მადლობა გადაეხადა?***

– მადლობა არა, მაგრამ ასე ხისტად არ უნდა მოქცეულიყო. მან დამნაშავე პოლიციელის დასჯაზე უარი თქვა. ამან საზოგადოებაში სამართლიანი პროტესტი გამოიწვია.

ხალხი ძალიან კარგად ხვდება, რომ გახარიას ასეთი ქმედება პოლიციელებს ძალადობისკენ უბიძგებს. რატიანს სანამ სცემდნენ, პოლიციამ მე მცემა, მაგრამ არც ამისთვის დასჯილა ვინმე. მორჩა, პოლიციამ უკვე იცის, რომ ისინი ადამიანების ცემისთვის არ დაისჯებიან და ახლა ნახეთ, რა დაიწყება.

გახარიამ სერიოზული მინუსები დაიწერა და ის პრემიერობაზე ფიქრს უნდა დაემშვიდობოს.

***– იქნებ არც ფიქრობდა პრემიერობაზე?***

– ძალიან კარგადაც ფიქრობდა. ეს ამბავი ბიძინას დონეზე იყო შეთანხმებული.

***– ბიძინას დონეზე თუ იყო შეთანხმებული, რა მნიშვნელობა აქვს, პლუსები დაიწერა გახარიამ საზოგადოებასთან თუ მინუსები.***

– ბიძინას საზოგადოების განწყობა საერთოდ არ აინტერესებს, მაგრამ პოეტი რატიანის ცემის ამბავმა ისიც გააღიზიანა.

***– საიდან იცით, რომ გააღიზიანა?***

– ამ ადამიანის ბუნება ვიცი კარგად. ის ლიბერალია და ასეთი რამეები არ უყვარს. აქედან გამომდინარე, გახარია უნდა დაემშვიდობოს ოცნებას პრემიერობაზე და იძახოს ახლა, ბერია ვარ, ბერიაო, არაფერი გამოუვა.

რამდენადაც ჩემთვის გახდა ცნობილი, ივანიშვილმა პრემიერობის ახალი კანდიდატურა უკვე შეარჩია. ახლა მთავრობის მეთაურის პოსტზე ფინანსთა მინისტრი მამუკა ბახტაძე განიხილება.

## 2018 წლიდან სათამაშოების უსაფრთხოებას კანონი დაარეგულირებს



ეკონომიკის სამინისტრო, შესაბამის უწყებებთან ერთად, სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ კანონპროექტზე მუშაობს.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, სათამაშოების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობა ევროპისას უნდა დაუახლოვდეს. ევროდირექტივის შესაბამისად, კანონმდებლობა 2019 წლიდან უნდა ამოქმედდეს. თუმცა, შესაბამისი კანონპროექტის პირვანდელ ვერსიაზე მუშაობა, ფაქტობრივად, დასრულებულია და, ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, მისი ამოქმედება შესაძლოა უკვე 2018 წლიდან მოხდეს.

# „ოთარ ფარცხალაძე „ოცნებაში“ შეგზავნილი იყო“

## პეტრე მამრაძე: „კახიშვილი კარგი მთავარი პროკურორი იქნებოდა“

გულიკო ბალაძე

**ინტერვიუ პარლამენტის ყოფილ წევრ პეტრე მამრაძესთან**

***– ბატონო პეტრე, ალბათ აანალიზებდით მიმდინარე მოვლენებს. როგორ განვლო საქართველომ 2017 წელი და როგორ შევა ისტორიაში?***

– ცხადია, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას ვაანალიზებდი. ერთი მხრივ, აღსანიშნავია ის, რომ მართლაც რთულ რეგიონში ვართ და წელსაც საქართველომ შეინარჩუნა რეგიონში ერთგვარი თავისუფლებისა და დემოკრატიის ოაზისის წოდება, ვინაიდან რეგიონში ვითარება უარესია ჩვენთან არსებულ ვითარებაზე.

***– ეს, ალბათ მნიშვნელოვანია.***

– რა თქმა უნდა. ჩვენ ხშირად ვმსჯელობთ იმაზე, რა არის უარყოფითი, მაგრამ ფიქრი იმაზე, რომ შეიძლება ყოფილიყო ბევრად უარყოფითი და ბევრად უარესი, ესეც გასათვალისწინებელია. მაშინ როდესაც მართლაც არის პირობები, ვითარება ბევრად უარესი იყოს.

***– მიგაჩნიათ, რომ შარშანაც შევინარჩუნეთ თავისუფლება და დემოკრატია?***

– დიახ, შევინარჩუნეთ, დავრჩით ერთგვარ ოაზის ქვეყნად. ამავდროულად, ჩვენმა ქვეყანამ, ჩვენმა ერმა რაიმე არსებითი ნაბიჯი განვითარების გზაზე ვერ გადადგა.

***– წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა სამთავრობო სტრუქტურების ოპტიმიზაცია. ხშირად ისმოდა კრიტიკა, რომ საკმარისზე მეტი სამინისტრო იყო. კვირიკაშვილის მთავრობამ, ცუდად თუ კარგად, გაბედა და შეამცირა სამინისტროების ოდენობა. ეს არ არის აღსანიშნავი?***

– აღსანიშნავია, რომ გაბედეს მთავრობის სტრუქტურული ოპტიმიზაცია. 2012 წლის შემოდგომიდან, „ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, რეგულარულად ვაცხადებდი, რომ საქართველოსნაირ პატარა (ტერიტორიისა და მოსახლეობით) ქვეყანაში 20 მინისტრი, რაც სააკაშვილის რეჟიმმა დაგვიტოვა, გაუგონარი რამ იყო და საჭირო იყო ოპტიმიზაცია. იმასაც ვამბობდი, რომ 12-13 სამინისტრო სრულიად საკმარისი იქნებოდა და მთავრობა ნორმალურად იმუშავებდა.

***– ახლა ერთით მეტი სამინისტრო დაუტოვებიათ. კიდევ შეიძლებოდა სამინისტროების შეერთება.***

– გადადგა რა ასეთი ნაბიჯი მთავრობამ, იქვე გამოჩნდა, რომ ეს არ არის ოპტიმიზაცია.

***– რატომ?***

– გამოჩნდა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება სრულიად მოუმზადებელი იყო. ჯერ ფუნქციები უნდა გაეწერათ (ამისთვის საკმარისზე მეტი დრო ჰქონდათ) და მართლაც ოპტიმალური ვარიანტი განეხორციელებინათ. ამის ნაცვლად, ვხედავთ, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო გაყვეს და შეიყვანეს ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებში.

***– გარემოს დაცვის სამინისტროს პრობლემა მართლად არსებობს.***

– გარემოს დაცვის სამინისტრო მას ჩააბარეს, ვისაც უნდა აკონტროლებდეს. თუმცა, დატოვეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, რაც აბსურდია (კახი კახიშვილი შესანიშნავი პროფესიონალია. ის შეიძლება მინისტრიც იყოს, მთავარი პროკურორიც და სხვა თანამდებობის პირიც).



***– შეიძლებოდა ასევე, ე.წ. შერიგების სამინისტრო შეიძლებოდა შეერთებოდა დევნილთა და განსახლების სამინისტროს.***

– შერიგების სამინისტრო არ არის სრულყოფილი სამინისტრო. ეს არის სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა და აპარატი, რაც კონტრპროდუქტიულია. მხოლოდ ჩვენს აფხაზებსა და ჩვენს ოსებს აღიზიანებს. ციხელაშვილი მშვენივრად იმუშავებდა სხვაგან, თუნდაც პრემიერის მრჩევლად ამ დარგში, მაგრამ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო სრულიად დრომოჭმული არ არის.

***– ალბათ, დრო მოვა და ეგ სამინისტროც გაუქმდება, რადგან საჭიროება აღარ იქნება.***

– საჭიროება დიდი ხანია აღარ არის. მის ფუნქციებს მშვენივრად შეასრულებდნენ სხვა სამინისტროები. ამიტომ არის ეს ოპტიმიზაცია სრულიად მოუმზადებელი და ოპტიმიზაციისაგან შორს მდგარი.

***– თუმცა ერთი ადგილის ტკეპნას მოქმედება და მოძრაობა სჯობია.***

– როცა იგებ, რომ თურმე მოხელეების რაოდენობაც არ მცირდება, რაღა ოპტიმიზაციაზეა საუბარი.

***– აქ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი. გამოაცხადეს, რომ თვითონ სამინისტროებშია მოსალოდნელი შტატების შემცირება და ოპტიმიზაცია.***

– ვერაფერი ამართლებს ხელისუფლების მოქმედებას. ოპტიმიზაცია თუნდაც უცხოელი სპეციალისტების დახმარებითა და უცხო ქვეყნების გამოცდილებით უნდა განეხორციელებინათ, როგორც ბალტიის ქვეყნებში გააკეთეს, რომლებიც ნატოს ქვეყნები არიან.

***– სხვა მხრივ რომ შევაფასოთ წინა წელი?***

– გასულ წელს ჩატარებულმა არჩევნებმა დაადასტურა, რომ, ერთი მხრივ, ჩვენი მოსახლეობა მმართველი დაჯგუფების მოქმედებით აშკარად გაწბილებულია. ნდობა და მხარდაჭერა მათ მიმართ ძალიან დაბალია, მეორე მხრივ, ჯერჯერობით მმართველ დაჯგუფებას აქვს...

***– იმაზე მეტი, ვიდრე სხვა დაჯგუფებებს?***

– არა, ჯერჯერობით მმართველ დაჯგუფებას აქვს საკმარისზე მეტი ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსი, რომ უპრობლემოდ გაიმარჯვოს ნებისმიერი დონის არჩევნებში. ამის საილუსტრაციოდ ერთი მაგალითიც საკმარისია – მმართველმა დაჯგუფებამ არჩევნებისათვის მიიღო 9-ჯერ მეტი დაფინანსება, ვიდრე დანარჩენმა პარტიებმა, ერთად აღებულმა.

***– ქვეყნის უსაფრთხოება როგორ არის დაცული?***

– რაც შეეხება დედაქალაქში განხორციელებულ ანტიტერორისტულ ოპერაციას, 22 საათი გრძელდებოდა, პრაქტიკულად, უწყვეტი სროლა და ხელყუმბარების აფეთქება. პარალელურად ტელეოპერატორებს ტელეეკრანებზე უწყვეტ რეჟიმში შეეძლოთ ტერორისტების ჩვენება.

***– ტელევიზიებისა და ტელეოპერატორებისთვის ჟურნალისტური თვალსაზრისით წარმატება იყო, რომ მათ შეძლეს, პირდაპირ ეთერში ეჩვენებინათ ანტიტერორისტული ოპერაციის მიმდინარეობა.***

– ეს მიღებული არ არის, მაგრამ ისტორიას დარჩება, რომ ტელეოპერატორმა ისეთი პოზიციის დაკავება შეძლო, რომ მისი ტელეკამერა აჩვენებდა...

***– ანტიტერორისტული ოპერაციის მთავარ წერტილებს...***

– იმ ბინას, სადაც ტერორისტები ჩანდნენ. ყველა უნდა ყოფილიყო თავის პოზიციებზე და ყველაფერი ნორმალურად დასრულდებოდა. ამიტომ ქედს ვიხრი ჩვენი მებრძოლების თავდადებისა და ვაჟკაცობის წინაშე. ერთი დაიღუპა და ოთხი დაიჭრა. მე ველაპარაკე პროფესიონალებს, თან – სამ ხელისუფლების მომხრე პროფესიონალებს.

***– სპეცოპერაციის გარდა, ყველაზე მეტად რომელი მოვლენა გახსენდებათ, თქვენზე დიდი შთაბეჭდილება რომ მოახდინა?***

– ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის გატაცებამ და აზერბაიჯანული სპეცსამსახურებისთვის გადაცემამ. მუხთარლი საქართველოში ალიევების ოჯახის უკანონო ბიზნესს იძიებდა, სასამართლოზე მოყვა, როგორ დახვდნენ მას ფორმაში ჩაცმული პოლიციელები, როგორ გაიყვანეს საზღვარზე და როგორ ჩაუდეს ფული ჯიბეში.

***– სხვათა შორის, ამ საკითხზე პრემიერ-მინისტრმა ლამის ბოდიში მოიხადა, მგონი, აღიარა, რომ ეს შეცდომა იყო.***

– ბოდიშის მოხდა არ შველის. ევროპარლამენტში საქართველოს ამის გამო უარყოფითი შეფასება აქვს. მინდა ვთქვა, რომ საქართველო ნამდვილად ვერ შეინახავდა ადამიანებს, რომლებიც აღიზიანებენ მეგობარი და მეზობელი სახელმწიფოს მეთაურს. იგივე შეიძლება ითქვას, მათზე, ვინც აღიზიანებს თურქეთის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას. ჩვენ ეს არ შეგვიძლია.

***– ჩვენ არ ვართ ისეთი ძლიერი სახელმწიფო, როგორიც, ვთქვათ, ამერიკაა, რომელიც ინახავს, მაგალითად, გიულენს.***

– ჩვენ იმდენად სუსტები და დამოკიდებულები ვართ ჩვენი მეზობლების კეთილგანწყობაზე, რომ ეს არ შეგვიძლია.

***– ევროკავშირისა და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ეგ რომ არ აინტერესებთ?***

– ხელისუფლებას შეეძლო, მიემართა გარკვეული ევროპული სტრუქტურებისათვის და გამოეთქვა თავისი წუხილი, ზოგიერთი პირის უსაფრთხოებას ვერ დავიცავდით, ეს პიროვნებები მაშინვე აღმოჩნდებოდნენ ევროპის ქვეყნებში და თავშესაფარიც ექნებოდათ ისე, რომ არავითარი სკანდალი არ მოხდებოდაო. დასავლეთი ამას გაგებით მოეკიდებოდა. ნაცვლად ამისა, ხელისუფლება როგორც მოიქცა, ვიცით, პრემიერის გინების არ იყოს.

***– ბატონო პეტრე, მთელ იმ სიტუაციაში, რაც პრემიერს დაემართა, ბობოხიძე თითქოსდა ყველაზე სუფთა ადამიანი გამოვიდა, მაშინ როდესაც ყველას ახსოვს, ბობოხიძე თავს რომ დაგესხათ. როგორ უყურებდით თქვენ იმ სცენას, როდესაც აკაკი ბობოხიძემ პრემიერი გააფრთხილა, რომ ნიკა მელიას ბეწვიც კი არ ჩამოვარდნოდა?***

– სამწუხაროდ, კვირიკაშვილს ნერვებმა უმტყუნა. იმას, რაც მოხდა, გამართლება არ აქვს. თანამდებობის პირის, მით უმეტეს, ქვეყნის პრემიერისაგან (რომელიც საქართველოს კონსტიტუციით, ყველაზე დიდი ძალაუფლების მქონე პირია) დედის გინება ყველაფერს ნიშნავს. ისტორიას დარჩება გუნდის რეაქცია, პრემიერმა თავისი და თავისი გუნდის ღირსება დაიცვაო. პრემიერისა და გუნდის ღირსება ასე თუა დასაცავი, ჩვენი საქმე ცუდად ყოფილა. მახსენდება მთავარ პროკურორად ფარცხალაძის დანიშვნა, რომელიც გერმანიაში იყო ნასამართლევი.

***– რატომღაც მგონია, რომ ფარცხალაძე მიუგზავნეს „ოცნებას“, რაღაც მანქანებით დაანიშვნინეს პროკურორად და შემდეგ ეს გამოიყენა ნაცმოძრაობამ, რომელმაც წინასწარ იცოდა მისი ნასამართლობის შესახებ.***

– ვერ დაგეთანხმებით, ვინაიდან ფარცხალაძე კი არ მოხსნეს, თვითონ გადადგა. სანდო ადამიანებისაგან მესმოდა, რომ ორი წლის განმავლობაში კიდევ დადიოდა მთავარ პროკურატურაში, თავის ყოფილ კაბინეტში იჯდა, ხოლო მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე გვერდით ეჯდა თანაშემწესავით.

***– ასე როგორ იქნება?***

– პიროვნებამ მითხრა (მაღალი რანგის იურისტმა) შარშან ზაფხულში, პეტრე, ნახევარი საათის წინ გამოვედი მთავარი პროკურატურიდან, ფარცხალაძე მთავარი პროკურორის სავარძელში იჯდა, ირაკლი შოთაძე გვერდით თანაშემწესავით ეჯდაო.

***– დაუჯერებელი ამბავია.***

– არ არის დაუჯერებელი. ე.წ. კანონიერი ქურდის „რემენას“ გაპარების ამბავი ხომ გახსოვთ.

***– პოლიტიკური ელიტა თუ გაიზარდა?***

– არა. არავითარი პოლიტიკური გაზრდის ნიშნებიც კი არ ყოფილა. ახლა არის პატრონ-კლიენტური სისტემა, საქართველოში პატრონყმურ ურთიერთობას უწოდებენ.

***– ახალი პოლიტიკური ელიტაა შესაქმნელი. ალბათ, დამეთანხმებით...***

– არ დაგეთანხმებით. სანამ საქართველოში საშუალო ფენა არ შეიქმნება, ახალი პოლიტიკური ელიტა ვერ წარმოიქმნება. საშუალო ფენის შექმნის გარეშე ვერავითარი პოლიტიკური პარტიის ფორმირება ვერ დაიწყება. მანამდე, კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გადმოდინდების. ასეა საქართველოში უკვე 25 წელია. 2012 წელს ბიძინა ივანიშვილმა თქვა, 20 წელიწადია, ჩვენი ქვეყანა დადის მანკიერ წრეზე და ეს უნდა გავარღვიოთო. 5 წელი გავიდა და ახლა 25 წელია, მანკიერ წრეზე დავდივართ. ხელისუფლებას ივანიშვილის ფაქტორი აჩერებს. ივანიშვილი შემაკავებელი ფაქტორია. ეშინიათ, ივანიშვილი არ გაბრაზდეს და რამე ზომები არ მიიღოს.

# რა იქნება 2018 წლის ძირითადი გამოწვევები

მარიამ მჭედლიშვილი

ამერიკელი ექსპერტების დასკვნით, თანამედროვე გეოპოლიტიკა მომავალში, მათ შორის, 2018 წელს, დაეყრდნობა აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების ახალ სტრატეგიას.

ამ სტრატეგიის თანახმად, აშშ-სთვის მთავარი საფრთხე ჩინეთია. მოწინააღმდეგეებში დასახელებული არიან ასევე რუსეთი, ჩრდილოეთი კორეა და ირანი.

ჩინეთის გავლენის შესუსტებას, სამრეწველო შპიონაჟთან ბრძოლას აშშ რამდენიმე მიმართულებით გეგმავს. ეს რთული იქნება ჩინური ექსპანსიის ფონზე. ჩინეთი ღიად ცდილობს თავის ორბიტაში მოაქციოს ის ქვეყნებიც კი, რომლებიც აშშ-ის მოკავშირეებად ითვლებიან.

ნატოს ინსპექტორის ანგარიშის შესაბამისად, 2018 წელს აშშ-ის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გახდება წინააღმდეგობის გაწევა რუსეთისთვის.

რუსეთი, რომელიც ფლობს ბირთვულ პოტენციალს, სამხედრო თვალსაზრისით საგრძნობლად გაძლიერდა.

ნატომ დეკემბერში გამოქვეყნებულ ამ მოხსენებაში მოუწოდა ნატოს წევრ ქვეყნებს, მზად იყვნენ მოსკოვიდან წამოსული პოტენციური აგრესიის საპასუხოდ.




დოკუმენტში ნათქვამია, რომ რუსეთმა შექმნა პოტენციალი ასიმეტრიული და არატრადიციული საბრძოლო მოქმედებების წარმართვისთვის. მოსკოვი ახორციელებს საიდუმლო ოპერაციებს საინფორმაციო და კიბერსივრცეში.

წელს ისევ აქტუალური იქნება სირიის საკითხი. აქამდე სირია ცხელი წერტილი იყო. ომი ფაქტობრივად დამთავრებულია, მაგრამ სტაბილურობის გარანტიას არავინ იძლევა. სირიისა და „ისლამური სახელმწიფოს“ საკითხზე მოსკოვს და ვაშინგტონს უხდებათ ერთმანეთთან თანამშრომლობა.

დასავლელი ექსპერტები სინანულით აღნიშნავენ, რომ რუსეთმა შეძლო სირიის კონფლიქტის დინამიკის შეცვლა და ასადის მმართველობის პოზიციის განმტკიცება. მისი საბოლოოდ მოგვარება უკვე შეუძლებელია რუსეთის გარეშე.

ამ პროცესში მოხდა რუსეთის დაახლოება თურქეთთან და ირანთან.

აშშ-სა და რუსეთს შორის მთავარ სადავო თემად რჩება უკრაინა. ვაშინგტონი აცხადებს, რომ კიევის კონტროლი უნდა აღდგეს უკრაინის მთელ ტერიტორიაზე.

2018 წელი რთული იქნება თეთრი სახლის ადმინისტრაციისათვის.

საუბარია არა მხოლოდ საშინაო უთანხმოებაზე დემოკრატიის საკითხებში. ექსპერტები საგანგაშოდ მიიჩნევენ იმას, რომ ამერიკა თმობს თავის პოზიციებს მსოფლიოში.

ექსპერტები და პოლიტიკოსები აღნიშნავენ, რომ იმ დროს, როდესაც აშშ გამოეთიშა კლიმატის ცვლილების შეთანხმებას და ამ სფეროს მთლიანად, კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ მთავარი მებრძოლის როლი იკისრა ჩინეთმა.

აშშ-ის პრეზიდენტის ოპონენტები აცხადებენ, რომ ადრე აშშ ასრულებდა მნიშვნელოვან როლს ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში. ტრამპის განცხადების შემდეგ ეს შეუძლებელია. მისი განცხადება ეხება იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად გამოცხადებას.

ექსპერტები შიშობენ, რომ შეიძლება ვერ შესრულდეს ამერიკის ეროვნული უშიშროების ახალი სტრატეგია. დონალდ ტრამპმა რადიკალურად გადაუხვია ამერიკის ყველა იმ პრეზიდენტის კურსს, რომელიც ამერიკის სათავეში იყო მეორე მსოფლიო ომის დროიდან.

ოპონენტები მიიჩნევენ, რომ აშშ-ის ახლანდელი ადმინისტრაცია ირანის შეკავებასაც ვერ შეძლებს. პრეზიდენტი გამოირჩევა მკაცრი რიტორიკით თეირანის მიმართ, მაგრამ ეს ამაო მუქარებია. ირანი, ისევე, როგორც ჩინეთი და რუსეთი, ძლიერდებიან ახლო აღმოსავლეთში, სადაც აშშ თმობს თავის პოზიციებს.

სხვა ანალიტიკოსები დარწმუნებული არიან, რომ აშშ-ის სანქციები საგრძნობლად დაასუსტებს კრემლს. გამკაცრებული შეზღუდვები უკვე მოქმედებს. მომავალ სანქციებში პუტინთან დაკავშირებული სხვა პირებიც მოხვდებიან, რაც ავტომატურად ნიშნავს რუსეთის გავლენის შესუსტებას, მათ შორის, მის მეზობელ სახელმწიფოებში.

# ქართველი გამომგონებლების მიერ შექმნილი ინოვაციური პროდუქტები

თანამედროვე მსოფლიო გამოგონებების გარეშე წარმოუდგენელია. შესაძლოა ვფიქრობდეთ, რომ ყველაფერი რისი გამოგონებაც კაცობრიობას შეეძლო უკვე არსებობს, თუმცა მაინც ვხვდებით ინოვაციურ პროდუქტებს, რომლებიც მულტიფუნქციურობითა და მაღალი მოთხოვნით გამოირჩევა ტექნოლოგიების ბაზარზე. საბედნიეროდ, ამ კუთხით არც ქართველი გამომგონებლები არიან გამონაკლისები. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში გამძაფრდა ახალგაზრდების ინტერესი გამომგონებლობისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნის მიმართ. ამ რეალობამდე კი იმ სამთავრობო პროექტებმაც მიგვიყვანა, რომელთა მიზანიც ახალგაზრდა ნიჭიერი გამომგონებლების აღმოჩენაა. ეს პროექტებია: „მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი", „სტარტაპ-საქართველო" და „ჰაკათონი".

გთავაზობთ ქართველი გამომგონებლების მიერ შექმნილ ინოვაციურ პროდუქტებს, რომლებმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს.




## „Cnick" – ჭკვიანი ბეჭედი

ქართველი სტუდენტების მიერ შექმნილი ხის ჭკვიანი ბეჭედი „კნიკი" საფულის დანიშნულებასაც ითავსებს და მეპატრონის სამედიცინო ინფორმაციასაც ინახავს. იგი პროექტ „სტარტაპ-საქართველოს" ერთ-ერთი გამარჯვებულია და საზოგადოებამაც სწორედ ამ კონკურსის დახმარებით გაიცნო. გაყიდვაში 2017 წლის აპრილიდან ჩაეშვა და დღეს მისი შეძენა ამაზონ.ქომ-ზეც შესაძლებელია. ბეჭდის მთავარი დანიშნულება იდენტიფიკაციაა, რათა სხვადასხვა დაწესებულებებსა და სისტემებს მივაწოდოთ ჩვენ შესახებ ინფორმაცია. მისი გამოყენება შესაძლებელია კინოთეატრებსა და ფიტნესცენტრებშიც. გარდა ამისა, ექიმებს შეეძლებათ პაციენტის პირველადი სამედიცინო ისტორიის მომენტალურად მიღება. უნდა აღინიშნოს, რომ ბეჭედში არსებული ინფორმაცია საკმაოდ დაცულია. პირველად სამედიცინო ინფორმაციაზე წვდომა მხოლოდ სამედიცინო პერსონალს აქვს, სხვა მონაცემები კი უსაფრთხოების იმაზე მაღალ დონეს ითვალისწინებს, ვიდრე ჩვეულებრივი საშვების ან ბილეთების შემთხვევაშია ხოლმე.

## „InGlove" – ინტერაქტიული ხელთათმანი

ინტერაქტიული ხელთათმანის იდეა ეკუთვნის დიმიტრი ცხოვრებაძეს, რომელმაც თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად, პროექტ „ჰაკათონის" ფარგლებში შეძლო პირველი პროტოტიპის შექმნა. ხელთათმანის დახმარებით შესაძლებელია ვირტუალურ სამყაროსთან კავშირის დამყარება და ფიზიკურად შეგრძნება იმ ნივთებისა, რომლებსაც ვირტუალურ სამყაროში ვეხებით. პროდუქტი ძირითადად, კომპიუტერული თამაშების მოყვარულებზეა გათვლილი, თუმცა მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც მედიცინის, ისე სამხედრო სფეროში. მედიცინის შემთხვევაში ხელთათმანი დაგვეხმარება, რომ უშუალოდ ვმართოთ რობოტები, რომლებიც ქირურგიულ ოპერაციებს ასრულებენ, ხოლო სამხედრო კუთხით იგი გამოსადეგია სხვადასხვა წვრთნის ჩასატარებლად. აღნიშნულმა პროექტმა გამარჯვება მოიპოვა გერმანიაში, ქალაქ ბრემენში ჩატარებულ საერთაშორისო სტუდენტური სტარტაპების კონკურსზე, რის შემდეგაც ინოვაციური ხელთათმანით მრავალი კომპანია დაინტერესდა.

## „Hand4Help" – ხელის პროთეზი

„Hand4Help" წარმოადგენს მაღალტექნოლოგიურ, მრავალფუნქციურ ხელის პროთეზს, რომელიც ადამიანის ნერვული დაბოლოებების დახმარებით ფუნქციონირებს. მისი წარმოების იდეა გიორგი დილმელაშვილს ეკუთვნის. მომხმარებელს შეუძლია თავად აირჩიოს, როგორც პროთეზის ვიზუალური მხარე ისე მისი დამატებითი ფუნქციები. პროთეზის ინოვაციურობა იმაში მდგომარეობს, რომ უკვე არსებული პროთეზების ფუნქციონირებისთვის საჭიროა ადამიანს ხელის კიდურს 3 კუნთის მოძრაობა მაინც შეეძლოს, ხოლო აღნიშნული პროთეზი მხოლოდ 1 კუნთით იმართება. იგი მოსახერხებელია ისეთი ადამიანებისთვის, რომლებსაც მაგალითად, მხოლოდ მაჯა აკლიათ და ტრადიციული პროთეზები ვერ უზრუნველყოფენ დახმარებას. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ბაზარზე არსებული პროთეზები ძალიან ძვირია და ბევრი ადამიანისთვის მიუწვდომელი „Hand4Help" კი ბევრად იაფი და მოსახერხებელი პროდუქტია მომხმარებლებისთვის. აღნიშნულმა პროექტმა გამარჯვება მოიპოვა პროექტში „სტარტაპ საქართველო".

## „wifisher" – wifi კომპანია

ინოვაციური სტარტაპი wifisher ორი წელია რაც დასრულდა დავით ხოსროშვილისა და რამდენიმე თანამოაზრის მიერ. იგი განკუთვნილია ტრადიციული ბიზნესებისთვის და ეხმარება მათ იმის განსაზღვრაში, თუ ვინ არიან მათი მომხმარებლები და რა უნდა გააკეთონ უფრო მეტი შემოსავლის მისაღებად. კომპანიას შეუძლია ინფორმაციის მოძიება ბიზნესის მომხმარებლებზე და მათი ჯგუფებში გადანაწილება მაგალითად ლოიალური, ახალი ან დაკარგული მომხმარებლები. გარდა ამისა, wifisher-ის დახმარებით შესაძლებელია კონკრეტული ადამიანების ჯგუფებისათვის ჭიფი რეკლამის გადაგზავნა მაშინ, როდესაც ისინი კონკრეტულ ადგილას იმყოფებიან. საქართველოსა გარდა კომპანია ლიტვაშიც ფუნქციონირებს, ხოლო 2018 წლისთვის კომპანია 7 ახალ ქვეყანაში აპირებს ბიზნესის გაფართოებას.

## „BReader" – ინოვაციური მოწყობილობა უსინათლოებისთვის

თავისუფალი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტებმა გადაწყვიტეს შეექმნათ მოწყობილობა, რომელიც უსინათლოებს გაუმარტივებდა სწავლის პროცესს. დღემდე შშმ პირებისთვის ყველაზე მწვავე პრობლემად ინფრასტრუქტურის არარსებობა რჩება, ამიტომ სტუდენტებმა შეიმუშავეს სასკოლო მერხების ინოვაციური ტიპი. მერხს ექნება ტექსტის რამდენიმე ხაზი რაც გააიოლებს სწავლების პროცესს. ასევე, მოსწავლის მიერ აკრეფილი ტექსტი, ელექტრონული წიგნების წამკითხველის წყალობით, მასწავლებლის ეკრანზე გამოისახება, ხოლო მასწავლებლის აკრეფილი ტექსტი უსინათლოთა მერხებზე გამოჩნდება. Braille reader-ის უპირატესობა მდგომარეობს მის ხელმისაწვდომობასა და სწავლისთვის ადაპტირებულობაში.

## „Deskomy" – ონლაინ პორტალი

„დესკომის" შექმნის იდეა 16 წლის ლუკა ყავიაშვილს ეკუთვნის, რომელსაც სურდა შეექმნა ისეთი პლატფორმა, რომელის დახმარებითაც მომხმარებლებს ნებისმიერი ფაილის ატვირთვა/ჩამოტვირთვა, ერთმანეთისთვის გაზიარება შეეძლებოდათ. საიტის მეშვეობით ნებისმიერ დარეგისტრირებულ პირს შეუძლია დაუკავშირდეს პირად კომპიუტერში განთავსებულ ინფორმაციას, თუმცა ჯერჯერობით მომხმარებლებს უფასო 3GB-იანი მოცულობის მახსოვრობის გამოყენება შეუძლიათ. ლუკა თავისი იდეით „Seedstars Tbilisi 2017"-ის ფინალისტი გახდა და 10 საუკეთესო სტარტაპს შორის მოხვდა.

# არაიდენტიფიცირებული პირუტყვი სასაკლაოზე აღარ დაიკვლება

2018 წლის იანვრიდან ახალი რეგულაცია ამოქმედდა, რომლის მიხედვითაც სავალდებულოა, სასაკლაოზე მიყვანილი პირუტყვი იდენტიფიცირებული იყოს და საყურე ნიშანი ჰქონდეს.



სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით, არაიდენტიფიცირებული პირუტყვი სასაკლაოზე აღარ დაიკვლება.

ახალი წლიდან ფერმერებს ასევე საშუალება ექნებათ საქონლის უფასო ვაქცინაციის პროგრამაშიც ჩაერთონ. იგეგმება მონაცემთა ელექტრონული ბაზის გაუმჯობესებაც, რაც ცხოველის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის მოპოვებას გააადვილებს.

# ბიტკოინმა ახალი წელი გაუფასურებით დაიწყო

2015 წლის შემდეგ პირველად ბიტკოინის ფასმა ახალი წელი გაუფასურებით დაიწყო. ამის შესახებ Bloomberg წერს. ამჟამად კრიპტოვალუტის კურსი Coindesk-ს მონაცემებით, 13.167 დოლარია.



31 დეკემბრის საღამოს ბიტკოინი 14.128 დოლარი ღირდა, ახალი წლის შემდეგ კი მისი ღირებულება 4,3%-ით დაეცა.

დეკემბრის შუა რიცხვებში ბიტკოინის ფასმა 20 ათას დოლარს გადააჭარბა, თუმცა შემდეგ 15%-ით გაუფასურდა. დეკემბრის ბოლოს კრიპროვალუტის ფასი ისევ გაიზარდა. ბიტკოინის კურსმა ზრდა 2017 წლის მეორე ნახევარიდან დაიწყო

# 2018 წლიდან ავტომობილებზე ქონების გადასახადი ამოქმედდება



ავტომობილებზე ქონების გადასახადის გადახდა 2018 წლიდან დაიწყება. გადასახადის გადახდის ვალდებულება 40 ათას ლარზე მეტი წლიური შემოსავლის მქონე ოჯახებს შეეხება, რომელთაც ქონების დეკლარირება 2017 წლის შემოსავლების მიხედვით 2018 წლის 1 ნოემბრამდე მოუწევთ.

გადასახადის წლიური განაკვეთი გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით არის დიფერენცირებული.

კერძოდ, 40 ათასიდან 100 ათას ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის ავტომობილის ღირებულების არანაკლებ 0.05% და არა უმეტესს 0.2% იქნება გადასახდელი, ხოლო 100.000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – ავტომობილის ღირებულების არანაკლებ 0.8% და არა უმეტეს 1%.

# „ლუხუნი 2" ჰესი აუქციონზე 11.5 მილიონ დოლარად იყიდება



ლუხუნი 2 ჰესი აუქციონზე 11.5 მილიონ აშშ დოლარად იყიდება. ამის შესახებ ინფორმაცია „გალტ&თაგარტის" მიერ გამოქვეყნებულ ელექტროენერგიის ბაზრის კვლევაშია აღნიშნული.

„გალტ&თაგარტის" ცნობით, ინვესტორის „რუსთავი ჯგუფის" მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ჰესი სახელმწიფოს გადაეცა.

– 53.500 აშშ დოლარით გადაუხდელი ჯარიმები დაიფარება, ხოლო დანარჩენი თანხა პროექტის ყოფილ მფლობელს გადაეცემა. თუ არცერთი განაცხადი არ გაკეთდა აუქციონის ვადის ამოწურვამდე, 2017 წლის 28 დეკემბრამდე, მეორე რაუნდში აუქციონი განახევრებული ფასიდან დაიწყება. წინასწარი გათვლებით, დახარჯული 11.5 მლნ აშშ დოლარის გარდა, მშენებლობის დასასრულებლად 10 მლნ აშშ დოლარი და 24-თვიანი სამუშაოები იქნება საჭირო, – ნათქვამია „გალტ&თაგარტის" ინფორმაციაში.

პროექტის მიხედვით, „ლუხუნი 2" ჰესის წლიური გამომუშავება 73.6 გვტ.სთ. იქნება, რომელსაც ინვესტორი დერეგულირებულ ფასად გაყიდის.

# იანვრიდან სამედიცინო დაწესებულებები ვალდებული იქნებიან, პაციენტებს ელექტრონული რეცეპტები გამოუწერონ

2018 წლიდან ელექტრონული რეცეპტებზე გადასვლა სავალდებულო ხდება. ჯანდაცვის სამინისტრო ხელშეკრულებას მხოლოდ იმ სამედიცინო დაწესებულებებთან გააფორმებს, რომლებიც ელექტრონულ სისტემაში ჩაერთვებიან.



აღსანიშნავია, რომ ფორმა №3-ის ელექტრონული ვერსია პირველ ეტაპზე, 2018 წლის იანვრიდან, მხოლოდ თბილისის მასშტაბით განხორციელდება, შემდეგ კი მთელ საქართველოს მოიცავს.

# 2017 წელი ავიაციაში ყველაზე უსაფრთხო წლად დასახელდა

2017 წელი ისტორიაში ფრენების თვალსაზრისით ყველაზე უსაფრთხო იყო. ამის შესახებ ჰოლანდიურ ავიაკონცერ Aviation Safety Network-ზე დაყრდნობით Reuters-ი ავრცელებს.

კომპანიის ცნობით, გასულ წელს ყოველი 16 მილიონი კომერციულ ფრენაზე მხოლოდ ერთი ტრაგიკული შემთხვევა მოდიოდა. ეს მონაცემები მხოლოდ იმ თვითმფრინავებზეა დათლილი, რომელიც 5,7 ტონამდე იწონიან.

2017 წელს ავიაციის სფეროში 111 უბედური შემთხვევა დაფიქსირდა, ორ შემთხვევაში დაიღუპა 13 ადამიანი. 2016 წელს კი 71 უბედური შემთხვევა მოხდა, მათგან 6 შემთხვევა ტრაგიკულად დასრულდა.



კომპანიის ცნობით, „2017 წელი ყველაზე უსაფრთხო წელი იყო მსხვერპლის რაოდენობის თვალსაზრისით, ბოლო ოცწლეულის განმავლობაში მსოფლიოში ავიაციის სფეროში სიკვდილიანობის შემთხვევები იკლებს".

# ტაქსების, მიკროავტობუსებისა და ავტობუსების მოძრაობის რეგულირებასთან დაკავშირებით ცვლილებები იგეგმება

ტაქსების, მიკროავტობუსებისა და ავტობუსების მოძრაობის რეგულირებასთან დაკავშირებით თბილისის მერია ცვლილებებს გეგმავს. ტაქსებისა და M1 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების (მიკროავტობუსი, ავტობუსი) რეგულირების გეგმასთან დაკავშირებით, დეტალები 2018 წლის დასაწყისში გახდება ცნობილი. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ 2018 წლის თებერვლის ბოლოდან პირველ ეტაპზე, დედაქალაქის 14 ქუჩაზე ყვითელი სამარშრუტო ტაქსები მხოლოდ გაჩერებებზე გაჩერდებიან.

# რა აფერხებს საქართველოში თიზების განვითარებას?

საქართველოში თავისუფალი ინდუსტრიული ზონების (თიზი) შექმნა წინა ხელისუფლების იდეა იყო. მთავრობას ჰქონდა მოლოდინი, რომ თიზები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა და ერთგვარი „ეკონომიკური სასწაული“ იქნებოდა. 2009 წელს ქუთაისის თიზი და ფოთის თიზი შეიქმნა. 2011-2012 წლებში კი მთავრობის წევრები ღიად აცხადებდნენ, რომ თიზები წარუმატებელი პროექტი აღმოჩნდა. ნეგატიური გამოცდილების მიუხედავად, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებზე დიდ იმედებს ამყარებს მოქმედი ხელისუფლებაც.



ეკონომიკაზე თიზების გავლენასთან დაკავშირებით ხელისუფლების (როგორც მოქმედი, ასევე წინა ხელისუფლების) წარმომადგენლებს გადაჭარბებული მოლოდინი აქვთ. თიზი ქვეყნის ტერიტორიისა და ეკონომიკის ნაწილია, ეკონომიკის პროპორციულად ვითარდება. ინვესტორის მოსაზიდად მხოლოდ შეღავათიანი საგადასახადო სისტემა არ არის საკმარისი. მნიშვნელოვანია ეკონომიკურად და პოლიტიკურად სტაბილური გარემო. ამასთან, მსოფლიოში ათასობით წარმატებული თიზი ფუნქციონირებს, მათ შორის ჩვენს მეზობელ თურქეთში და, შესაბამისად, კონკურენციის გაწევაც რთულია.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (თიზი) თავისუფალი ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი ნაირსახეობაა. თიზის ტერიტორიაზე მოქმედებს საგადასახადო და სხვა დამატებითი შეღავათები, სწორედ ამაშია მისი მომხიბვლელობაც. თიზის შექმნის მიზანი ინვესტორებისა და კაპიტალის მოზიდვაა. როგორც წესი, სპეციალური ეკონომიკური ზონები ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტემპს აჩქარებენ. თუმცა თიზმა რომ ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენა იქონიოს, ჯერ მისი განვითარებაა საჭირო. თიზები წარმატებულია განვითარებულ (დიდი ეკონომიკის მქონე) ქვეყნებში. სპეციალური ეკონომიკური ზონები განსაკუთრებით წარმატებულია ჩინეთში (ჰონკონგი, შანხაი), არაბთა გაერთიანებულ საამიროებში (დუბაი). თავისუფალმა ეკონომიკურმა ზონებმა აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში უდიდესი როლი ითამაშეს. თავისუფალი ეკონომიკური ზონები წარმატებით ფუნქციონირებს ჩვენს მეზობელ თურქეთშიც. თიზის წარუმატებლობის მაგალითიც ბევრი მოიძებნება, განსაკუთრებით – განვითარებად ქვეყნებში.

საქართველომ „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ“ კანონი 2007 წელს მიიღო. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიძლება შეიქმნას საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე (გარდა დაცული ტერიტორიებისა), რომლის ფართობიც მინიმუმ 10 ჰა უნდა იყოს. თიზი შეიძლება შეიქმნას მთავრობის ინიციატივით ან ორგანიზატორის (ფიზიკური ან იურიდიული პირის) მოთხოვნით, თუმცა თიზის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას მთავრობა იღებს.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო გათავისუფლებულია:

მოგების გადასახადისგან;

ქონების გადასახადისგან;

დამატებითი ღირებულების გადასახადისგან;

უცხოური ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებული საქონლის იმპორტის გადასახადისგან.

თუმცა თიზში წარმოებული საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე გატანის შემთხვევაში იმპორტის 4%-იანი გადასახადია დაწესებული. კანონმდებლობით, თიზის ტერიტორიაზე ინვესტორი იჯარით იღებს ობიექტს. რადგან ინვესტორს არა აქვს უფლება, საკუთრებაში (იმ ვადით, რა ვადითაც თიზი შექმნილია) მიიღოს ობიექტი. ეს მის ინტერესს ამცირებს.

არსებობს რამდენიმე ფაქტორი, თუ რატომ არ არის საქართველოში თიზები იმ დონეზე წარმატებული, რა მოლოდინიც ხელისუფლებებს ჰქონდათ. პირველი, საქართველოში საგადასახადო სისტემა ისედაც ლიბერალურია, ასევე მარტივად გაიცემა სამეწარმეო ლიცენზიები და ნებართვები, შესაბამისად, თიზი განსაკუთრებულად მიმზიდველი ვერ იქნება. ამასთან უკვე არსებობს წარმატებული თავისუფალი ეკონომიკური ზონები ჩვენს რეგიონში, მათ შორის ზემოთ ნახსენებ ჩვენს მეზობელ თურქეთში, რომელთანაც კონკურენციის გაწევა რთულია. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოში პირველი თიზების ამოქმედება 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდსა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის პერიოდს დაემთხვა, რაც თიზების განვითარების ერთ-ერთი დამაბრკოლებელი გარემოება იყო.

იქიდან გამომდინარე, რომ თიზების შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო საფინანსო სამსახურები პრაქტიკულად არ გასცემენ, ჩვენი ინფორმაციის წყარო თიზების ადმინისტრაციებია.

## ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა

ფოთის თიზი 2009 წელს ქ. ფოთში, ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური განვითარების ზონის ტერიტორიაზე (300 ჰა), 99 წლის ვადით შეიქმნა. თიზის ორგანიზატორი არაბული კომპანია „რაკია საქართველო თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“ იყო.

2016 წელს არაბულმა ინვესტორმა, „რაკიამ“ ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის 85%-იანი წილი სახელმწიფოს გადასცა. ამის მიზეზად შეუსრულებელი ვალდებულებები სახელდებოდა. „რაკიამ“ ვერ შეასრულა თიზის განვითარებისთვის ნაკისრი ვალდებულებები, რისთვისაც დაეკისრა პირგასამტეხლო, რომლის ჩამოწერის სანაცვლოდ ინვესტორმა თიზის საკონტროლო პაკეტის 85% სახელმწიფოს გადასცა.

2017 წლის სექტემბერში ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის 75%-იანი წილი ჩინურ კომპანია China Energy Company Limited-ს (CFFC) გადაეცა. CFFC ერთ-ერთი უმსხვილესი ჩინური კონგლომერატია, რომელიც ენერგეტიკის, საფინანსო, სავაჭრო სფეროში საქმიანობს. კომპანიამ ფოთის თიზში 150 მლნ დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს.

თიზის 10%-იანი წილი სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება.

## ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა

ქუთაისის თიზი 2009 წელს 99 წლის ვადით ყოფილი ავტოქარხნის ტერიტორიაზე განთავსდა. მისი ფართობი 27 ჰექტარია. თიზის ადმინისტრატორი „ჯორჯიან ინტერნეიშენალ ჰოლდინგია“.

თიზის ადმინისტრაციაში გვითხრეს, რომ ტერიტორიის თითქმის მესამედია ათვისებული.

თიზის ტერიტორიაზე 37 საწარმო ფუნქციონირებს. ძირითადი (შედარებით მსხვილი) კომპანიებია: Fresh Georgia, რომელიც არის ეგვიპტური კომპანიის შვილობილი. ის აწარმოებს საოჯახო ტექნიკას (გაზქურები, წყლის ელექტროგამაცხელებლები, სარეცხი მანქანები) და Atlantic Georgia, რომელიც დენის გამათბობლებსა და წყლის გამაცხელებელ ავზებს აწარმოებს.

Fresh Georgia-მ, Atlantic Georgia-მ და თიზის ადმინისტრაციამ ერთობლივად დაახლოებით 100 მლნ დოლარის ინვესტიცია განახორციელეს.

## ქუთაისის ჰუალინგის თიზი

ქუთაისის ჰუალინგის თიზს „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ სტატუსი საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2015 წელს, 30 წლის ვადით მიენიჭა. ის განლაგებულია ქუთაისში, ყოფილი ავტოქარხნის ტერიტორიაზე და 36 ჰას მოიცავს. თიზის ორგანიზატორი არის „ჰუალინგ ჯგუფის“ წევრი „GEORGIAN HUASHUN INTERNATIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD“.

ქუთაისის ჰუალინგის თიზი 25%-იანი დატვირთვით მუშაობს. თიზში ამ ეტაპზე 70-მდე სამრეწველო/სავაჭრო/სერვისული კომპანიაა რეგისტრირებული. თიზის ტერიტორიაზე შემდეგი ტიპის საწარმოები ოპერირებენ: ხის გადამმუშავებელი, სამშენებლო ქვის დამმუშავებელი, ავეჯის, მატრასების, ლითონკონსტრუქციების, მანქანა-დანადგარების ფილტრების მწარმოებელი ქარხანა, სილიციუმის მწარმოებელი ქარხანა, სპირტის მწარმოებელი ქარხანა და სხვა. იგეგმება მზის პანელების საწარმოს გახსნაც.

თიზში ძირითადად უცხოური კომპანიები ოპერირებენ (ჩინური, ეგვიპტური, აზერბაიჯანული, ესპანური და სხვა).

ქუთაისის ჰუალინგის თიზის დირექტორი სოსო ნიბლაძე ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ „ამ ეტაპზე ქუთაისის ჰუალინგის თიზში დაახლოებით 10 მლნ აშშ დოლარზე მეტია ინვესტირებული“.

სოსო ნიბლაძე აღნიშნავს, რომ თიზებს აქვთ გარკვეული გავლენა ინვესტიციებზე, ექსპორტზე. თუმცა ეკონომიკაზე ბუმის ეფექტი ვერ ექნებათ. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების შესაბამისად ვითარდება თიზებიც. პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემო, რაც ქვეყანაშია, პირდაპირ აისახება თიზების განვითარებაზე.

ქუთაისის ჰუალინგის თიზის დირექტორის შეფასებით, მომხიბვლელი პირობების მიუხედავად, „თიზი არ არის ინვესტორისთვის ლიბერალური სამოთხე, რადგან საქართველოში საგადასახადო სისტემა ისედაც ლიბერალურია“.

გარდა იმისა, რომ საქართველოს თიზებს კონკურენციის გაწევა უწევთ რეგიონში არსებულ სხვა თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებთან. ამის პარალელურად, „საქართველოში ხშირად სახელმწიფო პროგრამები უწევენ თიზებს კონკურენციას, რომლებიც კომპანიებს სხვადასხვა შეღავათს სთავაზობენ“, – ამბობს სოსო ნიბლაძე.

ქუთაისის ჰუალინგის თიზის დირექტორი მიიჩნევს, რომ შემაფერხებელი ფაქტორები კანონმდებლობაშია. მაგალითად, თიზში წარმოებული საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისას 4%-იანი დაბეგვრა მოქმედებს.

## თბილისის ტექნოლოგიური პარკის თიზი

თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა 2015 წლის ოქტომბერში, 49 წლის ვადით შეიქმნა, ის განლაგებულია თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე 17 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. თბილისის თიზის ადმინისტრატორი შპს „ჯორჯიან ტექნოლოჯი პარკია“, რომელიც BitFury-ის შვილობილი, მსოფლიო კრიპტოვალუტის, ბიტკოინის (ბლოკჩეინის) ტექნოლოგიების წამყვანი კომპანიაა.

ტერიტორია, სადაც თავისუფალი ინდუსტრიული ზონაა განლაგებული, თიზის სტატუსის მინიჭებამდე რამდენიმე თვით ადრე, 2015 წლის მაისში „ჯორჯიან ტექნოლოჯი პარკმა“ სახელმწიფოსგან სიმბოლურ ფასად – 1 ლარად შეიძინა. მიწის გადაცემის საინვესტიციო ვალდებულებად კი მონაცემთა დამუშავების ცენტრის შექმნა განისაზღვრა, რაშიც მინიმუმ 11.110.000 აშშ დოლარის ინვესტიცია უნდა განხორციელებულიყო.

2015 წლის ბოლოს BitFury-მ თბილისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე 40 მგვტ სიმძლავრის „დატა ცენტრი“ გაიხსნა.

რადგან „დატა ცენტრი“ თიზის ტერიტორიაზეა განთავსებული, ის გათავისუფლებულია დღგ-ის გადასახადისგან. შესაბამისად, ის ელექტროენერგიის საფასურს დღგ-ის გარეშე იხდის, რაც კომპანიისთვის დიდი მოგებაა, რადგან დატა ცენტრების დანახარჯების 90%-ზე მეტი სწორედ ელექტროენერგიაზე მოდის.

თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, რომელზეც ინვესტორების (ინვესტიციების) მოზიდვის მხრივ დიდ იმედებს ამყარებდა თიზის ადმინისტრაციაც და ხელისუფლებაც, და რომელსაც ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად მიიჩნევდნენ, უკვე 2 წელია არსებობს. თუმცა სხვა ინვესტორი თიზის ტერიტორიაზე არ გამოჩენილა.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ადმინისტრაციაში გვითხრეს, რომ ამ ეტაპზე თიზის ტერიტორიის დაახლოებით 20%-ია ათვისებული. დასაქმებულია 60-მდე ადამიანი. მათივე ინფორმაციით, რამდენიმე უცხოური კომპანია დაინტერესებულია თბილისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონით და მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

## ყულევის თიზი

საქართველოს მთავრობამ 2012 წლის სექტემბერში ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყულევში, კიდევ ერთი თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო. თიზის ორგანიზატორის უფლებამოსილება Socar Georgia Investments-ს მიენიჭა. თიზს ფუნქციონირება 2014 წლის სექტემბერში უნდა დაეწყო. თუმცა უკვე მოქმედმა ხელისუფლებამ ყულევის თიზის ამოქმედების ვადა ჯერ 2016 წლამდე, შემდგომ კი 2017 წლის სექტემბრამდე გადაავადა.

თიზის ტერიტორიაზე სავაჭრო ბრუნვისა და ინვესტორების მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა კომერციულ საიდუმლოებას მიეკუთვნება, შესაბამისად, ეროვნულ ეკონომიკაზე თიზის გავლენას ცალსახად ვერ შევაფასებთ. თუმცა საქართველოში თიზების განვითარება და წარმატება მათივე მოწოდებული ინფორმაციებიდან შეგვიძლია შევაფასოთ. საქართველოში მოქმედი თიზები დაახლოებით 20-25%-იანი დატვირთვით მუშაობენ. ფოთის თიზის შემთხვევაში ორგანიზატორმა ვალდებულებები ვერ შეასრულა და თიზის საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს დაუბრუნა. ქუთაისის თიზში, რომელიც 2009 წელს შეიქმნა, მხოლოდ 2 მსხვილი კომპანია ფუნქციონირებს. თბილისის თიზი უკვე 2 წელია, ფუნქციონირებს, თუმცა ზონაში BitFury-ის გარდა სხვა ინვესტორი არ გამოჩენილა. ყულევის თიზი თვალსაჩინო მაგალითია იმის, თუ რამდენად რთული აღმოჩნდა არათუ თიზის განვითარება, არამედ თიზის ამოქმედებაც კი. რაც შეეხება ქუთაისის ჰუალინგის თიზს, აღნიშნულმა თიზმა შედარებით მეტად შეძლო განვითარება, რაზეც თიზში ინვესტორების სიმრავლე მიუთითებს. თუმცა ყველაზე წარმატებული თიზის ხელმძღვანელობა ჩვენთან თიზის განვითარების დამაბრკოლებელ გარემოებებზე საუბრობს და მიიჩნევს, რომ თიზები ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ვერ ითამაშებენ.

# 2006 წლის პირველ აპრილამდე გაცემულ მართვის მოწმობებს 2018 წლის პირველი იანვრიდან იურიდიული ძალა კვლავ უნარჩუნდებათ




2006 წლის პირველ აპრილამდე გაცემულ მართვის მოწმობებს 2018 წლის პირველი იანვრიდან იურიდიული ძალა კვლავ უნარჩუნდებათ.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, შინაგან საქმეთა მინისტრის ინიციატივით, მოქალაქეებს მომსახურების სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებში აღნიშნული მართვის მოწმობების შეცვლა 2018 წლის 1-ლ აპრილამდე შეეძლებათ.

საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ცვლილება „საგზაო მოძრაობის შესახებ კანონში“ ამოქმედდა.

– იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქემ 2018 წლის 1-ელ აპრილამდე არ შეცვალა მართვის მოწმობა, დოკუმენტი ავტომატურად ჩაითვლება ძალადაკარგულად და მოქალაქე ავტომობილის მართვას შეძლებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მართვის მოწმობას შეცვლის. მართვის მოწმობის შეცვლის მსურველები არც 2018 წლის 1 აპრილის შემდეგ ჩააბარებენ თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდას.

დამატებით განვმარტავთ, რომ აღნიშნული ცვლილება არ ეხება თანამედროვე პლასტიკური ბარათების მართვის მოწმობებს, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ჭკვიანმა კამერებმა ერთ თვეში 31.377 დარღვევა დააფიქსირეს



ჭკვიანმა კამერებმა 2017 წლის 1-ლი ნოემბრიდან 1-ლ დეკემბრამდე, საქართველოს მასშტაბით, 31.377 დარღვევა დააფიქსირეს. „ინტერპრესნიუსმა“ მონაცემები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა.

საქართველოს მასშტაბით დამონტაჟებული 61 ე.წ. ჭკვიანი კამერიდან ერთ-ერთმა კამერამ, რომელიც შიდა ქართლში, კერძოდ, გორშია დამონტაჟებული, ყველაზე მეტი – 5.698 დარღვევა დააფიქსირა. მძღოლებმა აღნიშნულ მონაკვეთზე სიჩქარეს გადააჭარბეს.

შსს-ს მონაცემების მიხედვით, ნოემბერში აჭარაში არსებული 9 კამერით ჯამში 1.275 დარღვევა დაფიქსირდა; შიდა ქართლში არსებული 3 კამერით 6.441 ჯარიმა გამოიწერა; იმერეთში არსებულმა 14 კამერამ 5.288 დარღვევა დააფიქსირა; კახეთში ერთი კამერაა და 4 ჯარიმა გამოიწერა, მცხეთა-მთიანეთში არსებული 1 კამერით 62 დარღვევა დაფიქსირდა, ხოლო თბილისში დამონტაჟებულმა 33 კამერამ 18.307 ჯარიმა დაწერა.

ჭკვიანი კამერები 2017 წლის პირველი ნოემბრიდან ამოქმედდა.

## რამდენ ადამიანს ამოეწურა მართვის მოწმობაზე მინიჭებული 100 ქულა

შინაგან საქმეთა სამინისტროში ამბობენ, რომ 2017 წლის 1 ივლისიდან 15 დეკემბრის პერიოდში მართვის მოწმობაზე მინიჭებული 100 ქულა 14 ადამიანს ამოეწურა.

უფრო კონკრეტულად, ქულათა ამოწურვის გამო მართვის უფლება თბილისში 10-ს, ხოლო ბათუმში, ოზურგეთში, რუსთავსა და თერჯოლაში თითო-თითო ადამიანს შეუჩერდა.

შს სამინისტროს ინფორმაციით, 15 დეკემბრის მდგომარეობით, მართვის მოწმობაზე 100 ქულა სრულად 251.687 ადამიანს აქვს შენარჩუნებული.

## თურქეთში ყაჩაღობის ფაქტზე სამი ქართველი დააკავეს




თურქული მედიის ცნობით, რიზეში ყაჩაღობის ფაქტზე სამი ქართველი დააკავეს. სამართალდამცავებმა ქალაქის ერთ-ერთ უბანში ქართული სანომრე ნიშნებით მოძრავი მიკროავტობუსი გააჩერეს ჩხრეკისას შედეგად კი 28.600 აშშ დოლარი, 1.000 ევრო, 1.800 თურქული ლირა და 4 მობილური ტელეფონი ამოიღეს.

საქმე ქალაქ სამსუნის სასამართლომ განიხილა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, დაკავებულ მერაბ ფიფია სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა, ხოლო გიორგი მაშიას და ვალერი გვასალიას პატიმრობა მიესაჯათ.

## გორში ახალი წლის ღამეს პიროტექნიკით სამი ადამიანი დაშავდა



ახალი წლის ღამეს პიროტექნიკის გამოყენების დროს სამი ადამიანი მსუბუქად დაშავდა. ამის შესახებ შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს სასწრაფო სამედიცინო ცენტრისა და „გორმედის“ საავადმყოფოს წარმომადგენლებმა განუცხადეს.

დაშავებულთაგან ორი ზრდასრული მამაკაცია, ხოლო ერთი, – ხანშიშესული ქალი. ქალბატონს, რომელიც საქაშეთის დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს, საახალწლო ტექნიკა ხელში აუფეთქდა, რის გამოც, მსუბუქი ხარისხის დამწვრობა მიიღო.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ექიმებმა მას მხოლოდ პირველადი სამედიცინო დახმარება, საკუთარ სახლშივე გაუწიეს.

რაც შეეხება დაშავებულ მამაკაცებს, ერთმა მსუბუქი დამწვრობა თვალზე, ხოლო მეორემ – მარჯვენა ზედა კიდურზე მიიღო. „გორმედის“ წარმომადგენლის თქმით, ორივე მამაკაცი იმავე ღამეს სახლში გაწერეს.

გასულ, 2017 წლის საახალწლო პერიოდთან შედარებით, ამ ეტაპზე მოქალაქეები სიფრთხილეს იჩენენ. ქირურგ დავით გასიტაშვილის თქმით, ერთი წლის წინ ერთ-ერთმა მოქალაქემ თვალიც კი დაკარგა. მიმართვიანობაც მეტი იყო.

## თბილისში რუსეთიდან ერევანში მიმავალი ავტობუსი მსუბუქ ავტომობილს შეეჯახა — დაღუპულია 5 ადამიანი

ხუთი ადამიანი დაიღუპა თბილისში, მშრალ ხიდთან მომხდარი ავტოავარიის შედეგად, როდესაც რუსეთიდან ერევნის მიმართულებით მოძრავი ავტობუსი Mercedes #eoplan მსუბუქ ავტომანქანა Lada-ს შეეჯახა.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ჯგუფი.




## ახალი წლიდან სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლის წესი ამოქმედდა



1-ლი იანვრიდან ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის მიზანი სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირებაა.

ახალი წლიდან გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება ამოქმედდა, რომელიც გათავისუფლებისთვის დაბალი ან საშუალო რისკის იმ მსჯავრდებულებს მოამზადებს, რომელთა მოსახდელი თავისუფლების აღკვეთის ვადა ერთ წელს არ აღემატება.

გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს, დეპარტამენტის დირექტორის ნებართვით, შესაძლებელია მიეცეს უფლება დროებით დატოვოს პენიტენციარული დაწესებულება, გარკვეული პირობებით. გათავისუფლებისთვის მომზადების დაწესებულების დროებით დატოვება მსჯავრდებულს ერთ-ერთი შემდეგი პირობით შეეძლება: – თუკი ის მუშაობს, სწავლობს ან სურს არასამუშაო დღეების დაწესებულების გარეთ გატარება.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ასევე ითვალისწინებს სამუშაო დღეებში მსჯავრდებულის მიერ გარკვეული საკითხების მოსაგვარებლად დაწესებულების დროებით დატოვების შესაძლებლობასაც, თუმცა ეს ვადა ერთი კვირის განმავლობაში, 3 დღე-ღამეს არ უნდა აღემატებოდეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე დარჩენილი სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით – შინაპატიმრობით შეცვლაა, რომელიც ასევე 2018 წლის 1-ელი იანვრიდან ამოქმედდება. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს ენიჭება უფლებამოსილება, მსჯავრდებულის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში და კანონით განსაზღვრული საშეღავათო პერიოდის მოხდის შემდეგ, დარჩენილი სასჯელი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით – შინაპატიმრობით შეუცვალოს. გარდა ამისა, სასამართლოს საშუალება ექნება, გამოიყენოს ახალი არასაპატიმრო სასჯელის სახე იმ მსჯავრდებულებისათვის, რომლებიც ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის პირველად გასამართლდნენ. სასამართლოს უფლება ეძლევა შინა პატიმრობა გამოიყენოს ექვსი თვიდან ორ წლამდე ვადით, სისხლის სამართლის შესაბამისი მუხლის გათვალისწინებით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა. 2018 წლის 1-ლი იანვრიდან, მსჯავრდებულს, რომელიც განთავსებულია გათავისუფლებისათვის მომზადების, დაბალი რისკის ან არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში, უფლება ექნება ისარგებლოს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით.

ცვლილებები უვადო პატიმრობა მისჯილ პირებსაც ეხება. კერძოდ, 2018 წლის 1-ლი იანვრიდან თავისუფლების უვადო აღკვეთილ მსჯავრდებულს, რომელსაც, ფაქტობრივად, მოხდილი აქვს 15 წელი, უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს და დარჩენილი სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით – შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლა ითხოვოს. გარდა ამისა, თუ მსჯავრდებულმა, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი მოიხადა, სასამართლო უფლებამოსილია, ის პირობით გაათავისუფლოს სასჯელის შემდგომი მოხდისგან, გამოსაცდელი ვადით.

## სასულიერო პირებს ქურმუხის ეკლესიის შესაძლო დარბევაზე ინფორმაცია არ აქვთ



ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოს დიმიტრის (კაპანაძე), ასევე კახის წმინდა გიორგისა და ალიბეგლოს წმინდა ნინოს სახელობის ტაძრების წინამძღვარს, დეკანოზ პეტრე ხუმარაშვილს არ აქვთ ინფორმაცია კახში, ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიის შესაძლო დარბევის შესახებ.

ქურმუხის ეკლესიის დარბევასთან დაკავშირებით ინფორმაცია სოციალურ ქსელში რამდენიმე საათის წინ გავრცელდა, რომლის თანახმადაც, დარბევის შედეგად დაზიანებულია ტაძრის სახურავი და შიდა ფასადი.

სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციას კახის წმინდა გიორგის ეკლესიის ყოფილი წინამძღვარი, არქიმანდრიტი დემეტრეც გამოეხმაურა:

– როგორც ცნობილი გახდა ადგილობრივთაგან, 31 დეკემბერს დაარბიეს აზერბაიჯანში, ისტორიულ ჰერეთში, კახის რაიონში ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია. დაზიანებულია სახურავი და შიდა ფასადი. ვიმედოვნებთ, რომ არ წაუყრუებენ ამ ფაქტს საქართველოს მხრიდან, მოითხოვენ აზერბაიჯანისგან გამოძიებას და ვანდალების დასჯას. ბოლო ორი წელია ქურმუხის ტაძარზე გახშირდა მსგავსი ფაქტები, ხოლო სასჯელი არავის შეხებია. ვცდილობთ ამ ფაქტის გარკვევას ოფიციალური პირებისგან, – წერს არქიმანდრიტი დემეტრე.

„რეგინფო“ კახის მცხოვრებლებს ტელეფონით დაუკავშირდა. მათი თქმით, ქურმუხის ეკლესიის დარბევის თაობაზე სოციალური ქსელიდან გვიან საღამოს შეიტყვეს და ინფორმაციის გადამოწმებას დილით შეძლებენ.

ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოს დიმიტრის თქმით, ქურმუხის ეკლესიის დარბევის შესახებ მას ინფორმაცია არ აქვს.

კახის წმინდა გიორგისა და ალიბეგლოს წმინდა ნინოს სახელობის ტაძრების წინამძღვარმა, დეკანოზმა პეტრე ხუმარაშვილმა „რეგინფოს“ უთხრა, რომ აღნიშნულის შესახებ მისთვის არავის უცნობებია: „კახიდან დღეს, დილით დავბრუნდი. გუშინ, მრევლი იმყოფებოდა ქურმუხის ეკლესიაში. იქიდან დაახლოებით 2 საათისთვის წამოვიდნენ და არაფერი იყო მომხდარი. თუ რამე მოხდა, ე.ი. მათი წამოსვლის შემდეგ. კახიდან ჩემთვის ამ საკითხზე არავის დაურეკავს„.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ ქურმუხის ეკლესიის შესაძლო დარბევასთან დაკავშირებით, აზერბაიჯანში საქართველოს საელჩომაც სოციალური ქსელიდან შეიტყო. სამინისტროს წარმომადგენლის მარი ნარჩემაშვილის თქმით, საელჩოდან კახის მცხოვრებლებს უკვე დაუკავშირდნენ და ინფორმაციას ამოწმებენ.

ქურმუხის ეკლესია მე-19 საუკუნეშია აშენებული და ქალაქ კახიდან დაახლოებით 2 კილომეტრში მდებარეობს. აზერბაიჯანის ხელისუფლება ქართველ მღვდელმსახურებს ქურმუხის ეკლესიაში მსახურების ჩატარების ნებას წელიწადში ორჯერ, გიორგობისთვის, 6 მაისსა და 23 ნოემბერს აძლევს.

2015 წელს აზერბაიჯანის კერძო ტელეკომპანია „ატევემ“ ახალი სატელევიზიო რგოლის გადასაღებ მოედნად ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარი გამოიყენა. კადრებიდან ჩანდა, რომ მსახიობები ქურმუხის ეკლესიის საკურთხეველსა და კედლებზე დახტოდნენ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ გამოთქმული შეშფოთების გამო ტელეკომპანიამ ქურმუხის ეკლესიაში გადაღებული კლიპის ჩვენება შეწყვიტა.

**რეგინფო.გე**

## მუზეუმის თანამშრომლებს, რომლებიც თაღლითობის მცდელობისთვის დააკავეს, გირაო შეეფარდათ



თბილისის საქალაქო სასამართლომ ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებს, რომლებიც თაღლითობის მცდელობაში არიან ბრალდებულები, აღკვეთს ღონისძიების სახით 5.000-ლარიანი გირაო შეუფარდა საპატიმრო უზრუნველყოფით. გირაოს გადახდის ვადად განისაზღვრა 20 დღე.

– აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო წარდგენილი ბრალის სიმძიმე და ხასიათი, ასაკი, პიროვნება, ის გარემოება, რომ ბრალდებულები არ არიან წარსულში ნასამართლევნი, მათი საქმიანობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა. ყოველივეს გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური, ასევე ფაქტობრივი საფუძვლები და ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პირობებშიც მიღწეული იქნება აღკვეთის ღონისძიების მიზნები, – ნათქვამია თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულმა სააგენტომ დიდი ოდენობით ქრთამის აღებისა და დიდი ოდენობით ქრთამის აღებაში დახმარების ბრალდებით ეროვნული მუზეუმის ორი თანამშრომელი დააკავა. საქმის მასალების თანახმად, 2017 წლის დეკემბერში ა. დ.-მ და ქ. დ.-მ 7.000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, განიზრახეს თაღლითურად დაუფლებოდნენ ლიბანის მოქალაქის კუთვნილ დიდი ოდენობით ფულად თანხას, რომელიც დაინტერესებული იყო საქართველოში მხატვარ რიხარდ ზომერის ფერწერული სურათის ასლის შექმნით. ბრალდებულები, რომლებიც მუშაობდნენ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, უცხო ქვეყნის მოქალაქეს დაჰპირდნენ ოფიციალურ დასკვნას, თითქოსდა ტილოზე შესრულებული ფერწერული სურათი წარმოადგენდა მხატვრის ორიგინალ ნამუშევარს, რისთვისაც წინასწარ გამოართვეს მოთხოვნილი თანხის ნაწილი.

2017 წლის 28 დეკემბერს, თაღლითური გეგმის შესაბამისად, ბრალდებულებმა ყალბი დასკვნის სანაცვლოდ, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით გამოართვეს დარჩენილი თანხის ნაწილი.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ტრამპმა ამერიკელებს ახალი წელი მიულოცა



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თანამემამულეებს ახალი წელი მიულოცა. თავის გამოსვლაში მან აღნიშნა, რომ გასული 2017 წელი ამერიკის ძალისა და გავლენის ზრდის წელი იყო. საგარეო ფრონტზე ტრამპმა უდიდეს მიღწევად სირიაში ექსტრემისტების განადგურება მიიჩნია, საშინაოში კი – საგადასახადო რეფორმა.

– ასეთი პროგრესული რეფორმა აშშ-ის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა, – განაცხადა ტრამპმა.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ამერიკა თავის ზენიტში იმყოფება. ქვეყანა როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით მსოფლიოში ყველაზე ძლიერია. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ 2018 წელს აშშ-ის ძლევამოსილება კიდევ უფრო გაიზრდება.

– მსურს ჯორჯ ვაშინგტონის სიტყვები შეგახსენოთ: პატარა ხარ მანამ, სანამ არ იზრდები. დღეს აშშ წარმოადგენს გლობალურ სახელმწიფოს, რომელსაც არ ჰყავს ტოლი, თუმცა ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავძლიერდეთ, ჩვენი გავლენა კიდევ უფრო მეტი უნდა იყოს, – ამბობს ტრამპი.

# მაკრონი: „საფრანგეთს ერთიანი ევროპის გარეშე არსებობა არ შეუძლია“



საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა საახალწლოდ მოსახლეობას მიმართა. მან განაცხადა, რომ საფრანგეთს ევროკავშირის გარეშე არსებობა არ შეუძლია.

– რასაკვირველია, ევროკავშირი რეფორმირებას საჭიროებს! – თქვა მაკრონმა.

საფრანგეთის ლიდერმა ხაზი გაუსვა, რომ 2018 წელს ყველაფერი გაკეთდება საიმისოდ, რათა ევროკავშირის გავლენა გაიზარდოს.

– ევროპა აშშ-სა და ჩინეთთან ერთად უნდა ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ გადაიქცეს, – თქვა მაკრონმა.



# კიმ ჩენ ინი: „ჩვენ ბირთვული იარაღი გვაქვს“

ჩრილოეთ კორეის დიქტატორმა კიმ ჩენ ინმა განაცხადა, რომ მზადაა, გაგზავნოს დელეგაცია სეულში, რათა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ჩრდილოეთ კორეელი სპორტსმენების მონაწილეობის საკითხი განიხილონ.

ამავე დროს, დიქტატორმა მსოფლიოს აუწყა, რომ ბირთვული ბომბი აქვს.

– ბირთვული იარაღის შექმნის პროცესი დასრულებულია! მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, ჩრდილოეთ კორეამ ეროვნული ბირთვული ძალები შექმნა, – აცხადებს დიქტატორი.

# კადიროვმა პუტინს ლექსი მიუძღვნა

ჩეჩნეთის მარიონეტული პრორუსული ხელისუფლების მეთაურმა რამზან კადიროვმა ახალი წელი რუსეთის მთელ მოსახლეობას მიულოცა.



მან განაცხადა, რომ ჩეჩნეთი რუსეთის განუყოფელი ნაწილი იყო, არის და იქნება.

დასასრულს კადიროვმა თავისი ლექსი წაიკითხა, რომელიც ვლადიმერ პუტინს მიუძღვნა.

– პუტინი ჩემი მამაა! – ასე დაასრულა მან თავის გამოსვლა.

# თეირანში სასულიერო სემინარია დაწვეს




## მასობრივი პროტესტი ირანში გრძელდება

ირანში მასობრივი საპროტესტო აქციები გრძელდება. ერთ-ერთი ბოლო ინფორმაციით, თეირანში მანიფესტანტებმა სასულიერო სემინარია დაწვეს, წინა დღეს კი ხალხი აიათოლა ჰამენეის რეზიდენციაში შეჭრას ცდილობდა.

ტალღა ქალაქ მეშხედიდან აზვირთდა. იქაური ახალგაზრდობა ქუჩაში გამოვიდა, რათა ქვეყანაში არსებული კორუფციისა და განუკითხაობის გამო პროტესტი გამოეთქვა. პოლიციასა და მანიფესტანტებს შორის მოხდა შეტაკება. პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა. შედეგად დაიჭრა ერთი, დაიღუპა ორი მანიფესტანტი. ამის შემდეგ დემონსტრანტების რაოდენობამ ერთიათად იმატა. საპროტესტო აქციები უკვე მთელს ქვეყანაზე გავრცელდა.

ირანის პრეზიდენტმა თავის ტელემიმართვაში განაცხადა, რომ ხალხს უფლება აქვს, პროტესტი მშვიდობიან ფორმებში გამოხატოს; ამავე დროს მან კატეგორიულად უარყო, რომ მეშხედში პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა და მანიფესტანტებს ესროლა.

– მოხდა შეტაკება შიიტ ექსტრემისტებსა და დემონსტრანტებს შორის, – თქვა მან.

„ისლამური რევოლუციის გუშაგის“ ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მანიფესტაციები ირანში ამერიკელების მიერაა დაფინანსებული.

– ე.წ. მშვიდობიანი პროტესტის მონაწილეებს ვაფრთხილებთ, ჭკუას მოუხმეთ, თორემ დაისჯებით! – იმუქრებიან ისლამისტი გუშაგები.

შეტაკებებისას დაღუპულია 22 ადამიანი, ბევრი დაშავდა. თეირანში უცნობმა პიროვნებამ პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნა. მოკლულია 3 პოლიციელი. თავად თავდამსხმელი მიიმალა. ირანის პრეზიდენტმა როჰანიმ ყველაფერში საუდის არაბეთი დაადანაშაულა.

– არეულობა ირანში საუდის არაბეთის მიერაა ინსპირირებული! – განაცხადა როჰანიმ.

აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა აღნიშნა, რომ ირანში ცვლილებები მომწიფდა.

– ირანში სიდუხჭირე და კორუფციაა, რადგანაც ფული, რომელიც მოსახლეობის სოციალურ დაცვას უნდა მოხმარდეს, საერთაშორისო ტერორიზმის დაფინანსებაზე მიდის. ირანელები ამასთან შეგუებას არ აპირებენ, – თქვა ტრამპმა.

ირანელ მანიფესტანტებს სოლიდარობა გამოუცხადა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმაც. მან თქვა, რომ ირანელი ხალხი თავისუფლებისთვის იბრძვის, აშშ-ც მათ გვერდითაა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მომხდართან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ არც ერთი უცხო სახელმწიფო ირანის შიდა საქმეებში არ უნდა ჩაერიოს.

– ასეთ ჩარევას სიკეთე არ მოაქვს. ამისი დამადასტურებელი მაგალითები უამრავია, – ნათქვამია განცხადებაში.

# ისრაელმა ჰამაზს ესროლა

1 იანვარს ღაზას ტერიტორიიდან ისრაელის მიმართულებით რაკეტა გაისროლეს. როგორც გაირკვა, ეს ტერორისტული ორგანიზაცია ჰამაზის ნახელავი იყო.

ისრაელის თვითმფრინავებმა საპასუხო დარტყმა განახორციელეს.

პრემიერმა ნეთანიაჰუმ ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ ტერორისტების ნებისმიერ ქმედებას პასუხი გაეცემა.



**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


# განცხადებები

**დასაქმება**

● განყოფილების ხელმძღვანელს ოფისში სჭირდება რუსული და ქართული ენების მცოდნე ორი თანაშემწე. ვთავაზობთ მზარდ ანაზღაურებასა და კარიერულ წინსვლას. ტელ: 599-61-75-82.

● სავაჭრო კომპანიის ოფისში გვესაჭიროება თანამშრომელი, რომელსაც პერსონალის შერჩევის გამოცდილება აქვს. ტელ: 555-57-83-54.

**შევისყიდით წიგნებს!**

● ბუკინისტური მაღაზია „არსი“ შეიძენს 1950 წლამდე გამოცემულ წიგნებს, სპეციალისტების ადგილზე მისვლითაც. მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი №16. წიგნების ფოტოები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელ.ფოსტით: booking.shop@mail.ru ან დაგვირეკეთ ტელ: 557-64-67-60.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფსორიაზის მკურნალობა მაღალი შედეგით – მალამოებით, ლიმფის გაწმენდითა და ნერვული სისტემის მოწესრიგებით. ფრჩხილის სოკო და კანის სოკო, ეგზემა, სტრეპტოდერმია და სხვა – ბუნებრივი საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე.597 98-95-99; 599 45-88-66. ნინო ექიმი.

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით ..

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულსისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ნანა ძაგნიძე მსოფლიოს ჩემპიონია




საუდის არაბეთის დედაქალაქ ელ-რიადში დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ელვისებურ ჭადრაკში ნანა ძაგნიძე გამარჯვებული გახდა.

ქართველმა დიდოსტატმა 16,5 ქულა დააგროვა და ნახევარი ქულით გაასწრო მეორე ადგილზე გასულ ვალენტინა გუნინას (რუსეთი), მესამე ადგილზე კი 14 ქულით ჩიუ ვენჩინი (ჩინეთი) განთავსდა.

ტურნირი შვეიცარული სისტემით 21 ტურად ჩატარდა და მისი საპრიზო ფონდი 250.000 დოლარს შეადგენდა.

პირველი ადგილისთვის ნანამ 80.000 დოლარი მიიღო. დანარჩენი ქართველი მონაწილეების ტექნიკური შედეგები ასეთია:

15. ლელა ჯავახიშვილი – 12,5 ქულა; 18. ბელა ხოტენაშვილი – 12,5 ქულა; 23. ნინო ბაციაშვილი – 12 ქულა; 50. ინგა ჭარხალაშვილი – 10,5 ქულა; 63. სოფიკო ხუხაშვილი – 10 ქულა; 77. სოფიო გვეტაძე – 9,5 ქულა; 89. სალომე მელია – 9 ქულა.

საპრიზო ფონდი 30 საუკეთესო მოჭადრაკეზე იყო განაწილებული, ასე რომ, კიდევ სამმა ქართველმა მოჭადრაკემ შეივსო ბიუჯეტი.

ქალთა ასპარეზობის პარალელურად მიმდინარე ვაჟთა ჩემპიონატი მსოფლიოს ჩემპიონის მაგნუს კარლსენის გამარჯვებით დასრულდა. მის აქტივში 21-დან 16 ქულაა, 2-3 ადგილები 14,5 ქულით სერგეი კარიაკინმა (რუსეთი) და ვიში ანანდმა (ინდოეთი) გაინაწილეს.

ქართველთა შედეგები ასეთია: 29. ლევან ფანცულაია – 12,5 ქულა; 30. ბაადურ ჯობავა – 12 ქულა; 37. გიგა ყუფარაძე – 12 ქულა; 88. მიხეილ მჭედლიშვილი – 10,5 ქულა.

აქ საპრიზო ფონდი გაცილებით მაღალი იყო და მარტო გამარჯვებულს 250.000 დოლარი შეხვდა, ხოლო ქართველთაგან საბანკო ანგარიში ფანცულაიამ და ჯობავამ შეივსეს.

# სანდრო იუნაიტედისა და ჩელსის სამიზნეზე

მანჩესტერ იუნაიტედი და ლონდონის ჩელსი აქტიურად ცდილობენ იუვენტუსის მარცხენა მცველის, ალექს სანდროს გადაბირებას და როგორც ჩანს, რომელიმე მათგანი დასახულ მიზანს მიაღწევს.

საქმე იმაშია, რომ იტალიური გრანდი სამხრეთამერიკელის გაშვების წინააღმდეგი სულაც არაა – ტურინელები ბრაზილიელში 53 მილიონ გირვანქა სტერლინგს ითხოვენ.

იტალიური მედიის თანახმად, ალექსს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იტალიის დატოვება და არაა გამორიცხული, მან „ზებრები" იანვარშივე დატოვოს. „ბებერი ქალბატონი" მზადაა, სანდროს ზამთარშივე შეელიოს, თუ რომელიმე კლუბი მისგან დასახელებულ თანხას გადაიხდის.




ანტონიო კონტე უკვე დიდი ხანია, რაც დაინტერესებულია ბრაზილიელი უკანახაზელის ყიდვით, რეალურად „არისტოკრატებს" მარცხენა მცველის პოზიციაზე მხოლოდ მარკოს ალონსო ჰყავთ. ამიტომ პრემიერ ლიგის მოქმედ ჩემპიონებს ამ პოზიციაზე გაძლიერება სწადიათ.

რაც შეეხება ჟოზე მოურინიოს გუნდს, აქ საქმე გაცილებით რთულადაა, გუნდს დიდი ალბათობით დარმიანი და ბლინდი დატოვებენ, ლუკ შოუ კი ხშირად ტრავმიანობს და არაა გამორიცხული, კლუბი მანაც დატოვოს. ჟოზე მოურინიო ბოლო პერიოდში მარცხენა მცველად 32 წლის ეშლი იანგს იყენებს, მაგრამ ინგლისელი პოზიციით მცველი არაა, გარდა ამისა, ის უკვე ასაკშია და რამდენ ხანს შეძლებს ჟოზეს დახმარებას მაღალ დონეზე, უცნობია. ამიტომ იუნაიტედი აქტიურადაა დაინტერესებული ალექს სანდროს შეძენით.

აღნიშნულ პოზიციაზე, ბრაზილიელის გარდა, მანჩესტერის საყიდელ სიაში რაიან სესენიონი და დენი როუზი შედიან.

# შედეგები

**1 იანვარი**
**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბრაიტონი-ბორნმუთი .................... 2:2
ბარნლი-ლივერპული .................... 1:2
ლესტერი-ჰადერსფილდი .............. 3:0
სტოკი-ნიუკასლი ........................ 0:1
ევერტონი-მანჩესტერი ................. 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 21 | 19 | 2 | 0 | 61-12 | 59 |
| 2.მანჩესტერი | 22 | 14 | 5 | 3 | 45-16 | 47 |
| 3.ჩელსი | 21 | 14 | 3 | 4 | 39-14 | 45 |
| 4.ლივერპული | 22 | 12 | 8 | 2 | 50-25 | 44 |
| 5.არსენალი | 21 | 11 | 5 | 5 | 38-26 | 38 |
| 6.ტოტენჰემი | 20 | 11 | 4 | 5 | 39-20 | 37 |
| 7.ბარნლი | 22 | 9 | 7 | 6 | 19-19 | 34 |
| 8.ლესტერი | 22 | 8 | 6 | 8 | 34-32 | 30 |
| 9.ევერტონი | 22 | 7 | 6 | 9 | 25-34 | 27 |
| 10.უოტფორდი | 21 | 7 | 4 | 10 | 30-37 | 25 |
| 11.ჰადერსფილდი | 22 | 6 | 6 | 10 | 18-35 | 24 |
| 12.ბრაიტონი | 22 | 5 | 8 | 9 | 17-27 | 23 |
| 13.ნიუკასლი | 22 | 6 | 4 | 12 | 20-30 | 22 |
| 14.ბორნმუთი | 22 | 5 | 6 | 11 | 22-34 | 21 |
| 15.საუთჰემპტონი | 21 | 4 | 8 | 9 | 20-30 | 20 |
| 16.სტოკი | 22 | 5 | 5 | 12 | 23-47 | 20 |
| 17.კრ.პალასი | 21 | 4 | 7 | 10 | 18-32 | 19 |
| 18.ვესტ ჰემი | 20 | 4 | 6 | 10 | 22-38 | 18 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 21 | 2 | 10 | 9 | 15-28 | 16 |
| 20.სუონსი | 21 | 4 | 4 | 13 | 13-32 | 16 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ბოლტონი-ჰალი ............................ 1:0
დერბი-შეფილდი .......................... 1:1
ლიდსი-ნოტინგემი ....................... 0:0
ნორვიჩი-მილუოლი ...................... 2:1
პრესტონი-მიდლსბრო .................. 2:3
ქპრ-კარდიფი ............................. 2:1
უენსდი-ბარტონი ........................ 0:3
სანდერლენდი-ბარნსლი .............. 0:1
ასტონ ვილა-ბრისტოლი .............. 5:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ქართველთა სუპერმატჩები




ზაზა ფაჩულიამ გოლდენ სტეიტში პირადი რეკორდი დაამყარა. ქართველმა ცენტრმა ეს მემფის გრიზლისის წინააღმდეგ მოახერხა. ოკლენდელებმა ტენესელი „დათვები" 141:128 გაანადგურეს, ფაჩულიამ კი „მეომრებს" 17 ქულა მიაშველა, რაც მისი უმაღლესი შედეგია ამ კლუბის შემადგენლობაში.

აქამდე ფაჩულიას 111 მატჩი ჰქონდა გოლდენ სტეიტში ჩატარებული და ყველაზე მეტი – 16 ქულა მოეგროვებინა. ეს ზაზამ 2016-17 წლების სეზონში, 27 თებერვალს, ფილადელფიასთან 119:108 მოგებულ შეხვედრაში მოახერხა. აქვე ვთქვათ, რომ ზაზას კარიერის რეკორდი 27 ქულა გახლავთ, რაც მან 2007 წლის 7 მარტს, მაიამის წინააღმდეგ მოაგროვა, როცა ატლანტა ჰოუქსის ღირსებას იცავდა.

ფაჩულია მართლაც შესანიშნავად გაისარჯა და მწვრთნელს მეტ ხანს რომ დაეტოვებინა მოედანზე, შესაძლოა, სამმაგ დუბლამდეც მისულიყო. სასტარტო ხუთეულში მყოფმა ფაჩულიამ ჯამში 24 წუთი ითამაშა, რა დროშიც 17 ქულა, 8 მოხსნა და 6 პასი დააგროვა.

მემფისთან მოგებულ შეხვედრაში ფაჩულიასთან ერთად გამორჩეული იყო სტეფ კარი, რომელიც 2-კვირიანი ტრავმის გამო მოედანს 38 ქულით დაუბრუნდა.

გოლდენ სტეიტი 29 მოგებითა და 8 წაგებით დასავლეთ კონფერენციასა და ლიგას ლიდერობს. შემდეგი მატჩი ფაჩულიას ყოფილ გუნდთან ელის – გოლდენ სტეიტი ტეხასში დალასს დაუპირისპირდება.

ფანტასტიკურ ფორმაშია თორნიკე შენგელია. მართალია, ესპანეთის ჩემპიონატის მე-13 ტურში ჩვენებურის ბასკონია სტუმრად 67:78 დამარცხდა მურსიასთან, მაგრამ ისევე, როგორც წინა შეხვედრაში, თორნიკე ამჯერადაც მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო. მან ორივე გუნდიდან ყველაზე მეტი ქულა ჩააგდო – 30 წუთში 18 ქულა. ჩვენებურმა 8-დან 4 ორქულიანი, 4-დან 1 სამქულიანი და 10-დან 6 საჯარიმო ჩააგდო და მარგი ქმედების კოეფიციენტითაც ბადალი არ ჰყავდა (18).

ბასკონია 8 მოგებით სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილზეა.

ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო მატჩებში გიორგი შერმადინიც შეუჩერებელია. მორიგი ტურის მატჩში უნიკახას ქართველმა ცენტრმა ბილბაოს წინააღმდეგ შესანიშნავად ითამაშა და მალაგელებს რომ ემარჯვათ, დიდი ალბათობით ის ტურის საუკეთესო მოთამაშე გახდებოდა. უნიკახამ სტუმრად გამართული შეხვედრა ბილბაოელებთან 67:70 წააგო.

შერმადინი შეხვედრაში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 23 წუთში 19 ქულა და 5 მოხსნა მოაგროვა. შერმადინისთვის 19 ქულა საუკეთესო შედეგია უნიკახას შემადგენლობაში. გიორგიმ 4-ვე ორქულიანი და 12-დან 11 საჯარიმო ჩააგდო. ქართველი ლეგიონერი მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა, მისი სარგებლიანობის კოეფიციენტი კი 26-ს გაუტოლდა, რაც, ჯერჯერობით, მთლიანად ტურის საუკეთესო მაჩვენებელიცაა.

უნიკახას 13 მატჩში 6 მოგება აქვს და ცხრილში მე-10 ადგილზე იმყოფება. მომდევნო შეხვედრა მალაგელებს შინ, ჩემპიონ ვალენსიასთან ელით.

პირადი რეკორდი დაამყარა სერბულ მეგა ლექსში მოთამაშე გოგა ბითაძემაც. მონტენეგროს მორნართან გამართულ შეხვედრაში ქართველმა ცენტრმა 21 ქულა ჩააგდო, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მოსაგებად. მონტენეგროს გუნდმა ადრიატიკის ლიგის შეხვედრა დაძაბულ ბრძოლაში – 87:83 მოიგო.

აქამდე ბითაძის უმაღლესი შედეგი 19 ქულა იყო, რაც მან მიმდინარე სეზონში ორჯერ – ცრვენა ზვეზდასთან და პარტიზანთან მატჩებში დააფიქსირა. მორნართან კი გოგამ 20 წუთში 21 ქულა მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 16-დან 9 ორქულიანი და სამქულიანი ჩააგდო. 21 ქულასთან ერთად ბითაძემ 5 მოხსნა მიითვალა.

4 მოგებითა და 10 მარცხით მეგა ბემაქსს სატურნირო ცხრილში მე-10 ადგილი უკავია, მომდევნო მატჩს კი სტუმრად, სლოვენიურ ოლიმპიასთან ჩაატარებს.

მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა მანუჩარ მარკოიშვილმა იტალიის სერია ა-ს გასულ ტურში, თავის ყოფილ გუნდ კანტუსთან ჩაატარა. რეჯიო ემილიამ კანტუელებს უმასპინძლა და ქართველი ლეგიონერის შედეგიანობის წყალობით 86:80 დაამარცხა.

სასტარტო ხუთეულში მყოფმა მარკოიშვილმა მოედანზე 30 წუთი გაატარა (ბოლო მეოთხედში შეუცვლელად გაისარჯა) და მასპინძელთაგან ყველაზე შედეგიანი იყო. მანუჩარმა 19 ქულა, 2 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 პასი მიითვალა. ქართველმა ლეგიონერმა 6-დან 2 ორქულიანი, 9-დან 4 სამქულიანი და 7-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

5 მოგებითა და 8 მარცხით რეჯიო ემილიამ სატურნირო ცხრილში მე-12 ადგილზე გადაინაცვლა, მომდევნო მატჩს კი შინაურ არენაზე, ბრინდისისთან გამართავს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ნატურალიზებულმა ამერიკელმა გამთამაშებელმა თურქეთის მეორე ლიგაში მორიგი გამარჯვება იზეიმა. მაიკლ დიქსონის ბაჰჩეშეჰირი პეტკიმსპორს შეხვდა და 77:68 მოუგო.

დიქსონი სათადარიგო იყო, მოედანზე 11 წუთით გამოჩნდა და შეხვედრა 6 ქულით დაასრულა. მაიკლმა 4-დან 2 სამქულიანი ჩააგდო, ბურთი 4-ჯერ დაკარგა და 1 პერსონალური ფოლი მიიღო. რაც დიქსონი ბაჰჩეშეჰირში გადავიდა, ამ გუნდმა 3 მატჩი გამართა და სამივე მოიგო.

ბაჰჩეშეჰირმა 9 მოგებითა და 7 მარცხით მე-8 ადგილზე გადაინაცვლა, მომდევნო მატჩს კი სტუმრად, სამსუნთან გამართავს.

# დინამო ისევ ლიდერია

**დინამო-სოხუმი 81:69**
**(17:19, 28:22, 18:14, 18:14)**

დინამოელები უპირობო ფავორიტად ითვლებოდნენ და ირაკლი ხოშტარიას გუნდმა გაიმარჯვა კიდეც, თუმცა აღსანიშნავია სოხუმელთა ბრძოლაც, რომლებმაც პირველი პერიოდი მოიგეს, მეორე მეოთხედში კი 8 ქულითაც ლიდერობდნენ, თუმცა საბოლოო წარმატებამდე ვერ მივიდნენ.

საქართველოს მოქმედი ჩემპიონი გარკვეულწილად შესუსტებულია, თუმცა არც იმდენად, რომ შედეგებზე შეეტყოს. დინამოელებს აკლდათ მიხეილ ბერიშვილი, ნიკოლა გაჩეშამ კი გუნდი ფიბა ევროპის თასზე ასპარეზობის დასრულების შემდეგ დატოვა. დინამომ თამაში მეორე პერიოდშივე გამოასწორა, 10-წუთეული 28:22 მოიგო და დიდ შესვენებაზე 4-ქულიანი ლიდერობით გავიდა – 45:41. დინამომ მესამე და მეოთხე პერიოდები ერთნაირი სხვაობით – 18:14 გაიმარჯვა და საბოლოოდ შეხვედრა 12 ქულით – 81:69 მოიგო.

დინამოში 14 ქულითა და 8 მოხსნით საუკეთესო იყო გიორგი შარაბიძე. 13 ქულა მოაგროვა ილია ლონდარიძემ. ლაველ ბოიდის ანგარიშზე კი 10 ქულა დაგროვდა. სოხუმში 13 ქულით ბომბარდირი გახდა კვან უოლერი. ანატოლი ჩელოვანმა 12 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა, ხოლო გიორგი კვეტენაძის ანგარიშზე 11 ქულა დაგროვდა.




**ქუთაისი-კაქტუსი 103:93**
**(30:22, 26:23, 22:19, 25:29)**

იმერეთში სათამაშოდ ჩავიდა კაქტუსი, რომელმაც მასპინძლებს სოლიდური ბრძოლა გაუმართა, მაგრამ საბოლოო წარმატების მისაღწევად ძალები არ ეყო.

დაკარგული ქულებით ქუთაისი სუპერლიგაში მეორე ადგილზეა. იმერულ კლუბს ლიდერ დინამოს შემდეგ ყველაზე ცოტა, 3 წაგება ჰქონდა და ეს შედეგი კაქტუსელებთან მატჩის შემდეგაც შეინარჩუნა. ქუთაისელებმა კაქტუსს 103:93 სძლიეს.

რაც შეეხება შეხვედრას: ქუთაისელებმა პირველი მეოთხედი 30:22 მოიგეს და ლიდერობა თამაშის ბოლომდე არ დათმეს. კაქტუსის მოთამაშეები ცდილობდნენ მატჩის შემობრუნებას, მაგრამ მაქსიმუმს, რასაც აღწევდნენ, ის იყო, რომ მასპინძლებს წინ დიდი სხვაობით არ უშვებდნენ. ქუთაისელები 10-12 ქულით ლიდერობდნენ და შეხვედრა ისე ჩაამთავრეს, მეტოქეს თამაშის დაძაბვის შანსი არ მისცეს.

იმერულ კლუბში 25 ქულით საუკეთესო იყო დეჟუან რაითი. 19 ქულა აკაკი დვალიშვილმა მოაგროვა. ჯო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# მთვრალმა ქალმა თავის პირველ პაემანზე მამაკაცი 300 ათასი დოლარით აზარალა

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ დალასის მცხოვრებმა ქალმა მამაკაცთან თავის პირველ პაემანზე რამდენიმე ძვირადღირებული სურათი და ქანდაკება დააზიანა, რომელიც სწორედ მამაკაცს ეკუთვნოდა.

ჰიუსტონელმა ადვოკატმა ენტონი ბაზბიმ განაცხადა, რომ სახლში რამდენიმე სტუმარი მიიყვანა, მათ შორის სასამართლოს მდივანი ლუ ლეიმანი. მისი თქმით, ქალი დათვრა და წასვლაზე უარი განაცხადა. მან მისთვის ტაქსი გამოიძახა, მაგრამ ქალი გაიქცა და სახლში დაიმალა.



როდესაც ადვოკატმა ქალი იპოვა და კიდევ ერთი მანქანა გამოიძახა, ლეიმანმა ხმაური ატეხა, ის ყვიროდა „არ წავალ!“ ამავე დროს კედლიდან რამდენიმე სურათი ჩამოაგდო და მათზე წითელი ღვინო დააქცია, შემდეგ კი ორი ქანდაკებაც მოისროლა.

დაზიანებულ სურათებს შორისაა პოპ-არტის კლასიკოსის ენდი უორჰოლის ორი ნამუშევარი, თითოეული 500 ათას დოლარადაა შეფასებული. დამტვრეული ქანდაკებები, თითოეული 20 ათასი დოლარი ღირდა. ქალის მიერ მიყენებულმა ზარალმა 300 ათასი დოლარი შეადგინა (სურათები გადარჩა, თუმცა რესტავრაციას საჭიროებს).

ამ ინციდენტის შემდეგ ლეიმანი დააკავეს და მას ვანდალიზმის ბრალდება წაუყენეს.

# ამერიკელმა მოსწავლემ მანქანის გამტაცებელი სათამაშო პისტოლეტით შეაშინა



ამერიკელმა მოსწავლემ მამის მანქანა გატაცებისგან სათამაშო პისტოლეტის დახმარებით იხსნა.

ცხრა წლის ლარი ლარიმორი მამას კევინ კუკსის სასურსათო მაღაზიასთან გაჩერებულ დაქოქილ მდგომარეობაში მყოფ დოჯის მარკის ყველგანმავალში უცდიდა.

ავტომობილში შეღწევა სცადა 32 წლის მანქანების გამტაცებელმა ოლი დანმა. როდესაც მან მძღოლის კარი გააღო, ბიჭმა მას სათამაშო პისტოლეტი მიუშვირა.

– ძალიან შევშინდი, როდესაც მან კარი გააღო და პისტოლეტი ინსტინქტურად ამოვიღე და მას მივუშვირე, – განაცხადა ლარიმორმა.

ამის შემდეგ დანმა გადაწყვიტა, იქვე მახლობლად მდგარი შევროლე ტრაიბლეიზერი გაეტაცებინა. როგორც კი ის წავიდა, ავტოსადგომზე ლარის მამა და გატაცებული ავტომობილის მფლობელი დაბრუნდნენ. კუკსიმ მას შესთავაზა, რომ გამტაცებელს გამოჰკიდებოდნენ. დამტვრეულ შევროლეს მათ რამდენიმე მილის დაშორებით მიაგნეს.

საბოლოოდ დანი პოლიციამ დააპატიმრა, მას მანქანის გატაცების მცდელობის და სხვის ავტომობილში შეღწევის ბრალდება წაუყენეს.

# ქალმა გათხოვება გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე მოასწრო



ამერიკელმა ქალმა, რომელიც სასიკვდილოდ იყო დაავადებული, გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე მოასწრო გათხოვება.

ჰეზერ ლინდსი თითქმის ერთი წელი ებრძოდა სარძევე ჯირკვლების კიბოს. მისი საქმრო დევიდ მოშერი მისთვის ხელის თხოვნას 2016 წლის დეკემბერში აპირებდა, როდესაც ლინდსის დიაგნოზი დაუსვეს. მას შემდეგ, როდესაც მისი ავადმყოფობის შესახებ შეიტყო, მამაკაცს საკუთარ განზრახვაზე ხელი არ აუღია.

ქორწილი 2017 წლის 22 დეკემბერს შედგა. ცერემონია საავადმყოფოში გაიმართა. იმ მომენტისთვის საპატარძლო ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იყო შეერთებული. დაქორწინებიდან 18 საათის შემდეგ ჰეზერი გარდაიცვალა. მისი ერთ-ერთი მეგობრის თქმით, ლინდსის თავისი საქმროს ასეთი ერთგულებიდან გამომდინარე სიკვდილი არ აშინებდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სალომე ტეტიაშვილი ახალ წელს საავადმყოფოში შეხვდა



მომღერალი სალომე ტეტიაშვილი ახალ წელს საავადმყოფოში შეხვდა.

ამის მიზეზი მისი დედის, ქალბატონი თამარის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები გახდა.

**სალომე ტეტიაშვილი:**

– რესპუბლიკურ საავადმყოფოში ვართ. სამსახურში ჩამოვარდა საიდანღაც და წვივების ღია მოტეხილობა აქვს, ოპერაცია გაუკეთდა... ჯერჯერობით სტაბილურადაა.

ჩემო ერთადერთო დედა!

დედა... ჩემო ტკივილიანო, ჭაღარაგარეულო, ცხოვრებისგან იარებდახსნილო! ჩემო ერთადერთო, რომელმაც არც ერთი შეცდომის გამო ხელი არ გამიშვი, რომელმაც ცხოვრების ყველა შეცდომა მაპატიე. ერთადერთო, რომელიც არ დაღლილხარ ჩემი შეცდომებით! რომ იცოდე, ახლა შენი იარები როგორ მტკივა... მტკივა საკუთარი შეცდომები შენ წინაშე...

დე... მადლობა სიცოცხლისთვის, მადლობა ჯერ კიდევ იმისთვის, რომ დაბადებამდეც არ თქვი უარი ჩემზე, მადლობა თეთრად ნათენები ღამეებისთვის, ჩემ გამო ჩადენილი უამრავი გმირობისთვის, მადლობა ყველაფრისთვის, რაც მომეცი და იმისთვისაც, რაც ვერ მომეცი, მაგრამ ასე ძალიან იბრძოდი, რომ მოგეცა. შენ უბრალოდ ქალი არ ხარ ჩემთვის, შენ ხარ გმირი და ვეცდები, მეც ვიყო შენი მსგავსი დედა.

დე, რომ იცოდე, რა თბილია შენთან ჩახუტება, რომ იცოდე, რამხელა იმედია შენი სიცოცხლეც კი, რომ იცოდე, რამდენს მაძლევს ცხოვრებაში შენი ხმის გაგონება. როგორ მინდა, მეც შემეძლოს მოგანიჭო ისეთი ბედნიერება, შენ რომ მანიჭებ. როგორ მინდა, მეც შემეძლოს დავხატო შენს სახეზე ისეთი ღიმილი, შენ რომ ჩემს სახეზე ხატავ ბავშვობიდან...

არჩევანი რომ მქონოდა, ოჯახი ამერჩია, ზუსტად ვიცი, რომ შენ აგირჩევდი, რადგან ალბათ სამყაროში ვერავინ შეძლებდა, ჩემთვის დედობა უკეთ გაეწია. დღეს არაფერს არ შეცვლის სიტყვები. უბრალოდ, გულით მინდა, რომ გითხრა, თუ როგორ მიყვარხარ.

დე... დიდხანს მიმყოფოს უფალმა შენი თავი, იმისთვის, რომ ვეცადო გაგხადო ბედნიერი.

მიყვარხარ ცამდე... ჩემო პირველო და უკვდავო სიყვარულო.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# დინამო ისევ ლიდერია

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ნათან ლის ანგარიშზე 16 ქულა დაგროვდა. კაკტუსში 21 ქულით დეანდრე პარკსი გამოირჩა. 18 ქულა მოაგროვა კრისტიან ჯონსონმა, ხოლო ტერიკ ბრიჯმენმა და დავით ლომიძემ 17-17 ქულა მიითვალეს.

### ბათუმი-მგზავრები 78:70
(22:21, 13:23, 19:12, 24:14)

ბათუმში სათამაშოდ მგზავრები ჩავიდა, რომელმაც მასპინძლებს ღირსეული ბრძოლა გაუმართა და შეხვედრა ბოლო წუთებზე დათმო – 70:78.

ბათუმმა ჩემპიონატი შედეგიანად დაიწყო, თუმცა შემდეგ რამდენიმე მოულოდნელი მარცხი განიცადა და ახლა ცხრილში საქმის გამოკეთებას ცდილობს. ამ გზაზე უმნიშვნელოვანესი გახლდათ მატჩი ცხრილის ქვედა ნახევარში მყოფ მგზავრებთან. ვლადიმერ ბოსნიაკის გაწვრთნილ ბათუმელებს გულშემატკივართა სოლიდური დახმარება ჰქონდათ და მათაც იმედები არ გააცრუეს. მატჩის გადამწყვეტ პერიოდში გამოჩენილი შედეგიანობის წყალობით ბათუმმა 78:70 იმარჯვა და აქტივში მე-7 გამარჯვება (12 მატჩში) ჩაიწერა.

არადა, ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილი მგზავრები საკმაოდ კარგად ირჯებოდნენ და გუნდური თამაშის წყალობით მეორე პერიოდის ბოლოსწინა წუთზე 14 ქულით – 44:30 დაწინაურდნენ. დიდ შესვენებამდე დარჩენილი მონაკვეთი მასპინძლებმა 5:0 მოიგეს და ჩამორჩენა 9 ქულამდე შეამცირეს. შესვენებიდან დაბრუნებული ბათუმელები უფრო შედეგიანად ათამაშდნენ და ანგარიში გაათანაბრეს. მგზავრებმა არ დათმეს და მესამე პერიოდი ბრძოლაში, ლიდერის ამპლუაში ჩაამთავრეს – 56:54.

ბოლო მეოთხედში მასპინძლებმა მეტოქე მაინც გატეხეს, თუმცა ბოლო წუთებამდე გარკვეული არაფერი იყო. ბათუმელებმა საბოლოოდ 8 ქულით იმარჯვეს.

აჭარულ გუნდს ამერიკელმა სპენსერ კოლინსმა ულიდერა, რომელმაც ორმაგი დუბლი – 25 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა. 13 ქულა ილია შემოსიუკმა, ხოლო 12 ლეონიდ სტეპანიშინმა მოაგროვა.

მგზავრებში 16 ქულით ბომბარდირი გახდა ავთო ლომინაშვილი. 15 ქულა მოაგროვა დავით ბარბაქაძემ, ხოლო 12-12 კახა ჯინჭარაძის და ადრიან ბოუის ანგარიშზეა.

### მარნეული-ოლიმპი 96:87
(20:27, 27:22, 18:21, 31:17)

ქვემოქართლურმა დელტამ საკმაოდ ხმაურიანი შედეგი დააფიქსირა. თემურ კანკიას გაწვრთნილმა მარნეულელებმა, რომლებსაც მიმდინარე ჩემპიონატში მხოლოდ 2 მოგება ჰქონდათ, ერთ-ერთი ლიდერი ოლიმპი დაამარცხეს – 96:87.

ოლიმპს მიმდინარე ჩემპიონატში 11 მატჩიდან 7 მოგება ჰქონდა და, ცხადია, ერთ-ერთ აუტსაიდერთან ფავორიტადაც ითვლებოდა, თუმცა მარნეულმა სამაგალითოდ იბრძოლა და მშვენივრად ჩატარებული ბოლო პერიოდის ხარჯზე გაიმარჯვა. თამაში ოლიმპელებს მიჰყავდათ, თუმცა ქვემოქართლელები ბევრით არ რჩებოდნენ და პერიოდული აფეთქებებით 10-12 ქულიან ჩამორჩენას უმალ აბათილებდნენ.

შეხვედრა დასასრულისკენ მიდიოდა, ოლიმპმა გადამწყვეტ პერიოდში 9-ქულიანი ლიდერობა მოიპოვა და თითქოს გამარჯვებამდეც უნდა მისულიყო, მაგრამ დასკვნით ეპიზოდში დელტას კალათბურთელებმა დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და საბოლოოდ, ისე მოიგეს, ოლიმპს მოგების შანსიც არ მისცემია. ქვემოქართლელებმა ბოლო პერიოდი 31:17 მოიგეს და საამაყო გამარჯვებას მიაღწიეს.

მარნეულს 22 ქულით და 11 მოხსნით ტაილერ ალდერმანმა ულიდერა. 22 ქულა მოაგროვა არტიომ შვეცმაც, ხოლო ნიკოლას ნილის ანგარიშზე 19 ქულა და 8 პასი დაგროვდა. ოლიმპში 29 ქულითა და 11 მოხსნით მარკ ოგდენი გამოირჩა, ხოლო გივი ბაქრაძის ანგარიშზე 12 ქულა და 7 პასი დაგროვდა.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 11 | 10 | 1 | 945:787 | 21 |
| 2.ქუთაისი | 12 | 9 | 3 | 1032:937 | 21 |
| 3.რუსთავი | 12 | 8 | 4 | 980:917 | 20 |
| 4.კაკტუსი | 13 | 6 | 7 | 1018:1069 | 19 |
| 5.ბათუმი | 12 | 7 | 5 | 931:849 | 19 |
| 6.ოლიმპი | 12 | 7 | 5 | 964:891 | 19 |
| 7.მგზავრები | 12 | 4 | 8 | 909:1009 | 16 |
| 8.დელტა | 13 | 3 | 10 | 997:1122 | 16 |
| 9.სოხუმი | 13 | 1 | 12 | 964:1159 | 14 |

# ასტროპროგნოზი

## 3 იანვარი



**ვერძი** – ხალისიანი და ოპტიმიზმით აღსავსე დღეა. მთავარია, ემოციებს არ აჰყვეთ. **კურო** – თუ გადაწყვეტილებას მიიღებთ, დაფიქრდით. ნუ აჩქარდებით. ეცადეთ, ეს დღე საყვარელი ადამიანების გარემოცვაში გაატაროთ. **ტყუპები** – ნუ გადაიღლებით. განტვირთვის საუკეთესო საშუალება მეგობრების წრეში ყოფნაა. **კირჩხიბი** – ერიდეთ შორს გამგზავრებას. უმჯობესია, თუ სპორტით დაკავდებით. ერიდეთ მძიმე საკვების მიღებას. **ლომი** – დროა, საკუთარ თავს მიხედოთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება დაუთმეთ. **ქალწული** – დღის დევიზია ზომიერება ყველაფერში. ნუ იზარმაცებთ და საქმეს სახვალიოდ ნუ გადადებთ. **სასწორი** – პროვოკაციას არ წამოეგოთ. თავი შეიკავეთ ემოციების გამოვლენისაგან. **ღრიანკალი** – თავმდაბლად იმუშავეთ. სხვის საქმეებში ნუ ჩაერევით. პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღეთ. **მშვილდოსანი** – დაისვენეთ, გაერთეთ. საკუთარ თავს მცირედ სიამოვნებაზე უარს ნუ ეტყვით. **თხის რქა** – ყურადღების ცენტრში მოექცევით. ნეგატიური ემოციების გამოვლენისგან თავი მაქსიმალურად შეიკავეთ. **მერწყული** – კოლექტიური მუშაობა ნაყოფიერი იქნება. სურვილი გისრულდებათ. **თევზები** – მთლიანობაში, პოზიტიური დღეა. შრომა დაგიფასდებათ. მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. სამხედრო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 2. დელფინის ერთ-ერთი სახეობა; 3. კინოცენტრი იტალიაში; 4. ერთ-ერთი პირველი ქართული საბავშვო ჟურნალი; 5. ძველებური ქართული ბასრწვერიანი სატყორცნი, საბრძოლო იარაღი; 8. რაიონული ცენტრი იმერეთში; 9. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 12. უდაბნოში მზარდი მცენარე; 13. ყურძნის შაქარი; 16. სმენის განსავითარებელი ვოკალური სავარჯიშო მუსიკაში; 17. ცნობილი საკონცერტო დარბაზი პარიზში; 19. იანვრის თვის ქართული სახელწოდება; 20. კათოლიკე მღვდელი პოლონეთში.

**თარაზულად**: 6. ომების მოწინააღმდეგე ადამიანი; 7. დაბალი რანგის დიპლომატიური წარმომადგენელი; 8. გერმანელი დრამატურგი, მწერალი, თეატრალური რეჟისორი; 10. საფრანგეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 11. საზღვაო ხელშეკრულება; 14. სპორტის სათამაშო სახეობა; 15. რაიმე სადავო საკითხის შემფასებელი, დასკვნის გამომტანი სპეციალისტი; 18. უკრაინული ხალხური ცეკვა; 21. ვინმეს ან რამეს მდგომარეობა, განლაგება; 22. მდინარე დუნაის ძველი სახელწოდება; 23. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 24. ლიგურიის ზღვისპირა პოპულარული კურორტი იტალიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

### კროსვორდი

**შვეულად:** 1. ჯულელი; 2. ალგეთი; 3. დეპარდიე; 4. ემბაზი; 6. კატალოგი; 8. ყირიმი; 11. სოლოლაკი; 12. ფალაური; 16. „დუკლა“; 17. ბირჟა; 18. ფერმი.

**თარაზულად:** 1. ჯანაოზი; 5. წალკა; 7. რეზიუმე; 9. ეკლესია; 10. „პალიტრა“; 13. მუხიანი; 14. „ბოინგი“; 15. ბახი; 19. „ზანდური“; 20. მიუზიკლი; 21. შარლემანი; 22. ციცაგი.

## თამაზ ჭეიშვილი მილოცვას პენსიონერთა სახელით ავრცელებს



მწერალი თამაზ ჭეიშვილი ხელისუფლებას საახალწლო სურვილს და მილოცვას პენსიონერთა სახელით უგზავნის:

– ვფიქრობ, მხარს ამიბამენ პენსიონერები, ჩვენ კი ძალიან ბევრნი ვართ! სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის მონაცემებით, ქვეყანაში სულ 694 572 ასაკით პენსიონერია!

გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ დაფიქრებულიყავით... რომ გავა დრო და თქვენც შეივერცხლებით, დაკარგავთ მოქნილობას, აქტიურობას! გახდებით ნაკლებად მომხიბლავი და „მოთხოვნადი"!

წლებთან ერთად ბევრ რამეს დაკარგავთ, ჩვენო ძვირფასებო, უპირველეს ყოვლისა, მეგობრებს! ჯვარი გწერიათ... უკვდავი ჯერ არც ერთი მოკვდავი არ ყოფილა, მით უმეტეს, ქართველი პენსიონერი!

არც კი ვიცით, რა გისურვოთ ხელისუფალთ, რომლებიც ჩვენზე საერთოდ არ ფიქრობთ! 180 ლარით თვიდან თვემდე თავის გატანას გისურვებთ-მეთქი რომ გითხრათ, დაწყევლა გამოვა და ახალ წელს მტერს არ დაწყევლიან!

მოცულობით ტექსტებს არ კითხულობენო, მით უმეტეს, თქვენ! სად გაქვთ ბებრული სისულელეების კითხვის დრო?

მოკლედ გეტყვით, პენსიონერთა მრავალათასიანი „ჯარის" სახელით გისურვებთ:

ჩვენი ხნისანი რომ მოიყრებით, ისეთი ხელისუფლების პირობებში გეცხოვროთ, როგორშიც თქვენ გვაცხოვრებთ დღეს!

თამაზ ჭეიშვილი, პენსიონერთა სახელით!

## ლიანა ისაკაძემ მეუღლის საფლავზე „ავე მარია" დაუკრა



მსოფლიოში ცნობილი მევიოლინის, ლიანა ისაკაძის, ცხოვრებაში მძიმე პერიოდი დგას. ფესტივალზე „ღამის სერენადები" მისი მეუღლე, პროფესორი თამაზ ჩაჩავა გარდაიცვალა.

მუსიკოსისთვის იმდენად მძიმე აღმოჩნდა საყვარელი მეუღლის გარდაცვალება, რომ მას არაერთხელ გაუჩნდა თვითმკვლელობის სურვილი, თუმცა უახლოესი ადამიანების თანადგომით და ყურადღებით ლიანა ისაკაძემ ეს სირთულეებიც გადალახა.

საქართველოში ჩამოსულმა ლიანა ისაკაძემ საყვარელი მეუღლის საფლავზე ფრანც შუბერტის „ავე მარია" შეასრულა.

**ანდრია გველესიანი, მსახიობი:**

– წელს ზაფხულში ბათუმში, მის კონცერტზე გარდაიცვალა ამ გენიოსი ქალის ლიანა ისაკაძის მეუღლე.... მეც იქ ვიყავი მეგობრებთან ერთად, შეიძლება ითქვას, რომ ჩემს ხელში დალია სული, როდესაც ხელოვნურ სუნთქვას ვუკეთებდით და ყველა თავისებურად ცდილობდა მისი სიცოცხლე გადაერჩინა. ძალიან ამაღელვებელია პირადად ჩემთვის ეს ვიდეო... გარდაცვლილი მეუღლის საფლავთან შესრულებული ეს კომპოზიცია.

## „რუსთავმა" პატიმრებისთვის კონცერტი გამართა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინიციატივით, სხვადასხვა პენიტენციურ დაწესებულებაში სადღესასწაულო ღონისძიებები იმართება, რომლის ფარგლებშიც №15 პენიტენციურ დაწესებულებაში ანსამბლ „რუსთავის" სოლო კონცერტი გაიმართა.

ანსამბლთან ერთად დღესასწაულები მსჯავრდებულებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილემ, ზვიად მიხანაშვილმა, მიულოცა.

ანზორ ერქომაიშვილი, ანსამბლ „რუსთავის" სამხატვრო ხელმძღვანელი:

– დიდი სიამოვნებით მივიღეთ ეს მიწვევა, ანსამბლი „რუსთავი" წამოვიდა მთელი შემადგენლობით. გავმართეთ კონცერტი, ვუყურებდით მათ ანთებულ სახეებს, გახარებულ გამომეტყველებას, ყველას ახსოვს, რომ ისინი გვიყვარს ჩვენ. მალე ყველა თავის ოჯახში შეხვედროდეს.

ფრიდონ სულაბერიძე, ანსამბლ „რუსთავის" ქორეოგრაფი:

– ვისაც გავესაუბრე, არაჩვეულებრივი ქართველები არიან, შეცდნენ და მოხვდნენ ამ დაწესებულებაში. ყველა გახარებული და კმაყოფილია, უნდათ, რომ გამოსწორდნენ. ძალიან მინდა, რომ მალე ყოფილიყვნენ თავიან სახლებში და კარგი ახალი წელი ჰქონოდეთ. ვინც გარეთ არის, მათ კი ვთხოვ, არაფერი დააშავონ ისეთი, რომ აქ მოხვდნენ.



## ლევან წულაძის სპექტაკლი საბერძნეთში საუკეთესოდ დაასახელეს



ქართველი რეჟისორის, ლევან წულაძის, სპექტაკლი საბერძნეთში რჩეულთა შორის მოხვდა.

ერთ-ერთმა ბერძნულმა გამოცემამ დაასახელა საუკეთესო 12 სპექტაკლი, რომელიც საახალწლო დღეებში აუცილებლად უნდა ნახო.

ჩამონათვალში ლევან წულაძის მიერ დადგმული „ჰამლეტიც" მოხვდა.

ქართველმა რეჟისორმა „დანაშაული და სასჯელის" განხორციელების შემდეგ საბერძნეთში მეორე სპექტაკლიც დადგა და ათენში მაყურებელს „ჰამლეტი" შესთავაზა. ლევან წულაძემ გადაწყვიტა, შექსპირის ეს პიესა მაყურებლისთვის განსხვავებულად და ორიგინალურად წარედგინა, რაც წარმატებით მოახერხა. ამის დასტურია ისიც, რომ ქართველი რეჟისორის სპექტაკლი თეატრის მოყვარულებში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

## აჩიკო ნიჟარაძეს მეორე ბიჭი შეეძინა



მომღერალი აჩიკო ნიჟარაძე მეორე ბიჭის მამა გახდა.

ეს სასიხარულო ინფორმაცია მომღერალმა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა:

– მომილოცეთ! ორი ბიჭის მამა გავხდი. პატარა ნიკო ნიჟარაძე გაჩნდა.

აჩიკო ნიჟარაძის მეორე ბიჭი დავით დავარაშვილის კლინიკაში დაიბადა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

აჩიკო ნიჟარაძეს და მის მეუღლეს, ასევე მომღერალ ნუცა ქირიას 5 წლის ალექსანდრე ჰყავთ.

## „ჩვენ ვარსკვლავები ვართ" მანანიკო ცენტერაძემ მოიგო



მუსიკალური შოუ „ჩვენ ვარსკვლავები ვართ" მანანიკო ცენტერაძემ მოიგო.

ფინალში ერთმანეთს გიგი ცირამუა და მანანიკო ცენტერაძე დაუპირისპირდნენ. მუსიკალურ ბრძოლაში ორივე ფინალისტმა მსოფლიოში ცნობილი სიმღერები შეასრულა.

ფინალური ღონისძიების დასრულების შემდეგ მაყურებელმა ხმების რეკორდული რაოდენობა დააფიქსირა.

160.680 ხმიდან 54.5 პროცენტით შოუ მანანიკო ცენტერაძემ მოიგო. ფინალისტებს კი პროექტის სპონსორებისგან დაწესებული პრიზები გადაეცათ.

## გიორგი მახარაძის დასახმარებლად საქველმოქმედო სპექტაკლი გაიმართება



4 იანვარს გიორგი მახარაძის დასახმარებლად საქველმოქმედო სპექტაკლი გაიმართება.

– 4-ში აუცილებლად უნდა გავავსოთ დარბაზი! – ასეთია ილიაუნის თეატრის მოწოდება.

ილიაუნის თეატრი მსახიობ გიორგი მახარაძეს სიმსივნესთან ბრძოლაში თანადგომას უცხადებს.

4 იანვარს ილიაუნის თეატრში გათამაშდება სპექტაკლი „რიჩარდ მესამე". წარმოდგენაზე დასასწრები ბილეთის ფასი 10 ლარია. გაყიდული ბილეთებიდან შესული თანხა კი მთლიანად გიორგი მახარაძის დასახმარებლად გადაირიცხება.

გიორგი მახარაძეს სიმსივნე რამდენიმე დღის წინ დაუდგინეს. ინფორმაციის გავრცელებისთანავე მსახიობის დასახმარებლად სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები დაიგეგმა. ამერიკაში მცხოვრებმა ქართველებმა მისთვის ათასობით დოლარი მოაგროვეს.

ასეთი თანადგომით აღფრთოვანებულმა გიორგის დედამ, თეონა ჩივაძემ, თითოეულ ადამიანს მადლობა გადაუხადა:

– მე, თეო ჩივაძე, გიორგი მახარაძის დედა, ცოტა დაბნეული, უფრო შეშინებული, მაგრამ თქვენი სიყვარულითა და მადლიერებით სავსე, ყველას მადლობას გიხდით.

ყველას: გიორგის მეგობრებს, ჩემს მეგობრებს, ჩვენთვის ძალიან ახლობელ ადამიანებს, კარგ ნაცნობებს და კიდევ უფრო დიდ მადლობას გიგზავნით სრულიად უცნობ ადამიანებს. ძალიან დიდი და განსაკუთრებული მადლობა უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს, რომლებმაც სამაგალითო სიკეთე გამოიჩინეს. თქვენმა თანადგომამ და თუნდაც ერთმა სიტყვამ და ლარმა, იცოდეთ, რომ ჩემთვის არნახული ძალა და რწმენა შეიძინა და ვიცი, რომ მხოლოდ ერთად ვართ ძლიერები.

მე და გიორგი მოვერევით, დავძლევთ და გავიმარჯვებთ. ბევრი რამ მინდა ვთქვა, მაგრამ სიტყვები არ არსებობს იმ გრძნობის ასახსნელად, რასაც თქვენ მიმართ განვიცდი. თუმცა, ზუსტად ვიცი, ნებისმიერის გულში სიყვარულით შემოაღწევს ჩემი და გიორგის მადლიერება.

მკურნალობისა და პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, იმედია, უფრო კარგად მოვუყრი თავს სათქმელს და უფრო დიდი სიხარულითა და მადლობებით დაგიბრუნდებით.

მიყვარხართ და ყველას დიდი, ძალიან დიდი მადლობა.

## ნიჭიერის გამარჯვებული კაპელა გახდა



„ნიჭიერის" მერვე სეზონის გამარჯვებული კაპელა გახდა.

შოუს ფინალში 11 კონკურსანტი მონაწილეობდა: თემო ემინიდის ბურნაძე, ზაურ დვალიშვილი, კაპელა, გიორგი კოტორაშვილი, ლევან ნინიძე, ბავშვთა ორკესტრი, იოსებ ბაჯო ტლაშაძე, სოფო ფარულავა, მარიამ შონია, კახაბერ ჭუმბურიძე და ინტერნეტრჩეული ჯგუფი „მოზაიკა".

11-ვე კონკურსანტის წარდგენის შემდეგ, „ნიჭიერის" სპონსორებმა და მხარდამჭერებმა თავიანთი ფავორიტებისთვის დაწესებული პრიზები დაარიგეს.

როგორც შოუს წამყვანებმა ვანიკო თარხნიშვილმა და გიორგი ყიფშიძემ განაცხადეს, „ნიჭიერის" ფინალში უპრეცედენტო რაოდენობის – 166.420 ხმა დაფიქსირდა და მათგან 49.33 პროცენტი კაპელამ მიიღო.

„ნიჭიერის" მერვე სეზონის გამარჯვებული 80 ბავშვისგან შემდგარი კაპელა და მათი ხელმძღვანელი გელა ფარჩუკიძე გახდა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## პროგრამა

**ოთხშაბათი 3 იანვარი**

**07.00** დოკ/ფ "შობაზე შეყვარებულები" **08.00** ანიმაცია. "მადაგასკარის პინგვინები" **08.50** ანიმაცია. "ალბი" თოვლის კაცუნა" **09.00** მხ/ფ " **ერთხელ შობის წინა ღამეს**" **10.15** მხ/ფ " **სტიუარტ ლითლი**" **11.30** ქართ. მოკ. მხ/ფ "**სუფთა დაფა**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **12.15** მხ/ფ "**ადამიანი – ობობა 3**" **14.35** დოკ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **15.20, 06.00** ტ/სპექტაკლი "**კაცი" რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა**" **16.30** მხ/ფ "**მხიარული დიკი და ჯეინი**" **18.10** ქართ. მხ/ფ "**მხიარული რომანი**" **19.20** მხ/ფ " **უძინარი სიეტლში**" **21.30** მხ/ფ "**ტუტსი**" (დ.ჰოფმანი) **23.20** მხ/ფ "**სიცრუის ილუზია 2**" **01.25** კონცერტი. დათო ხუჯაძე **02.25** მხ/ფ "**ფან-ფან ტიტა**" **04.00** მხ/ფ "**ჯულია და ჯული**"

**08.00** სერ. "**ფიცი**" **09.00, 22.00** მეგობრები **10.00, 11.20** სერ. "**ელიფი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **12.30** ქ.მხ/ფ "**შერეკილები**" **14.30, 16.00** სერ. "**ტყუილი**" **17.30** სერ. "**ცოდვილი**" **18.50, 19.03** სერ. "**დარჩი ჩემთან**" **21.00** სერ. "**დედა**" **23.30** კონცერტი: მერაბ სეფაშვილი **01.00** მხ/ფ "**შესანიშნავი შვიდეული**" **03.00** მხ/ფ "**ცუდი დედები**" **04.35** მხ/ფ "**იმედის სხივთა კრებული**" **06.40** მხ/ფ "**მეგობრის საქმრო**"

**05.00, 18.50** სერ. "**მეორე შანსი**" **06.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.00** ანიმაცია "მონსტრები და პირატები" **08.00, 01.00, 03.00** მხ/ფ **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** მხ/ფ "**იმერული ესკიზები**" **13.55** სერ. "**ბედის ანაბარა**" - დასაწყისი **15.30** სერ. "**მზიანი დღეები**" **16.55** სერ. "**მორჩილების სავანე**" **22.00** კომედი შოუ **23.00** მხ/ფ "**ახალ წელს დაკარგულები**" **00.30** კონცერტი "ბუბა კიკაბიძე" **02.00** კურიერის დაიჯესტი

tv პირველი **8.00, 10.00, 14.00, 17.50, 20.00,. 0.00, 2.00,** მხ/ფ **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება -NEWS **13.40** უცხოეთის ამბები **22.30** უცხოეთის ამბები **23.30** სერ. "**დამალული სიმართლე**"

GDS **08.00** მხ/ფ "**სმურფი 2**" **09.50** მხ/ფ "**ჰობიტი**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 5**" **17.00** სერ. "**სამხედროების ცოლები 7**" **19.00** სერ. "**ჯაშუში**" **21.00** სერ. "**ელ პრინსიპე**" **6** სერ. **22.30** მხ/ფ "**სულელების ოქრო**" **00.30** მხ/ფ "**თქვენთვის წერილია**" **02.40** მხ/ფ "**ექვსი დღე" შვიდი ღამე**" **04.30** მხ/ფ "**ამბობენ**" **06.15** მხ/ფ "**დაივიწყე პარიზი**"

იბერია **08.00** ანანდა **08.10** სისი **08.30** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.20, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40** ახალი ამბები **11.40** ანიმაცია **13.30** ბენეფისი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00** ღია სტუდია **17.30, 00.00** მხ/ფ **19.55** მე რომ ვიყო **20.00** დე ფქტო **21.00** სერ. "**პირადი საქმე**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** ინტერვიუ ვანიჩკასთან **2.00** კონცერი

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** ქრისტიანული ხელოვნება "ახალი აღთქმის კრებსაბმელი" **07.30** დ/ფ "დაგვიანებული ქორალი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-ყინულის ტყვეობაში" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** მხ/ფ "**უკვდავების თეთრი ვარდი**" **11.15** დ/ფ "ყველაზე, ყველაზე...მსხვილი ნაგებობები" **12.05** მოკ. მხ/ფ "**გოლა**" **12.40** კონცერტი **13.30** ან/ფ "ბოლტო" **2 14.45** ქვიშანი დარჩებიან **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "პლანეტა დედამიწა-მთები" **15.25** კონცერტი **18.10** დ/ფ "უჯარმის პატარა სახლი-რეზო ინანიშვილი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.15** მხ/ფ "**ნუცას სკოლა**" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" **21.20** ჩვენი ფონდი **21.35** ეპოქის სახელები **22.20** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. მხ/ფ "**აღდგომის ზატკანი**" **23.45** სიბრძნისმეტყველება **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** კონცერტი

მაესტრო **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


3 იანვრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5922

ევრო — 3.1044

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5005

100 რუსული რუბლი — 4.4935

## ამინდის პროგნოზი 3 იანვრისთვის




## 28 დეკემბრიდან



## ჩემი შემეცნებითი ახალი წელი

ამ წიგნით ბავშვები გააკეთებენ ნაძვის ხის სათამაშოებს, შექმნიან მისალოც ბარათებს, დახატავენ თოვლის ბაბუას,ააწყობენ ფაზლებს და ამ ყველაფრით სიამოვნებით დაკავდებიან საახალწლო არდადეგებზე. ამას გარდა, მას შესანიშნავად გამოიყენებენ საბავშვო ბაღებშიც...

**ფასი გაზეთთან ერთად 5.50 ლარი**

## 15 დეკემბრიდან

## რჩეული ქართული ზღაპრები




**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## ავსტრალიაში მოდაში ცოცხალი ნიანგის ჩუქებაა



ავსტრალიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ნიანგების ფერმის მეპატრონემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ საშობაოდ მყიდველების მოზღვავება იყო.

ქალაქ დარვინში მდებარე ფერმის მფლობელი ჯოვანა უები ამტკიცებს, რომ ბოლო დღეებში ასეულობით სხვადასხვა ჯიშის პატარა ნიანგი გაყიდა.

— ყველანი ჭკუიდან შეიშალნენ, — განაცხადა მან, — ყველას პატარა ნიანგი უნდა. როგორც წესი, რეპტილიას საშობაო საჩუქრად ყიდულობენ.

რეპტილიის შესაძენად ავსტრალიის ჩრდილოეთ ტერიტორიაზე ხელისუფლების ნებართვაა საჭირო. ქალაქში შეიძლება ისეთი ნიანგის ყოლა, რომლის სიგრძე 60 სანტიმეტრს არ აღემატება. როდესაც ცხოველი წამოიზრდება, ის ფერმას უნდა დაუბრუნონ.

სოფლის ტიპის დასახლებებში კი ნიანგის სიგრძეზე შეზღუდვები დაწესებული არ არის.

## ახალზელანდიელებმა ახალი წლის აღსანიშნავად ხელოვნური კუნძული ააგეს



ახალი ზელანდიის ქალაქ კორომანდელის რამდენიმე მცხოვრებმა ხელოვნური კუნძული იმისთვის ააგეს, რომ ახალ წელს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ალკოჰოლის მიღების აკრძალვისთვის თავი აერიდებინათ.

წყლის მიქცევის დროს მდინარე ტაირუას შესართავში ახალზელანდიელებმა ქვიშა დაყარეს და ხელოვნური კუნძული შექმნეს. მასზე დადგეს მაგიდა. დაიცადეს, სანამ მოქცევა დაიწყებოდა და ამის შემდეგ დაიწყეს ახალი წლის აღნიშვნა.

ადგილობრივი პრესის ინფორმაციით, ისინი ამტკიცებდნენ, რომ „ინტერნაციონალურ წყლებში" იმყოფებოდნენ, სადაც ალკოჰოლური სასმელის მიღებაზე აკრძალვა არ მოქმედებს. „კუნძულელები" მთელი ღამე სვამდნენ. 1 იანვარს კუნძული ჯერ ისევ ადგილზე იყო.

პოლიციის ინსპექტორმა ჯონ კელიმ იდეას კრეატიული უწოდა. მისი თქმით, მას რომ კუნძულის შესახებ სცოდნოდა, შესაძლოა მის შემქმნელებს შეერთებოდა.

კორომანდელში სპირტიანი სასმელების მიღება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მთელი საახალწლო დღესასწაულის განმავლობაში აკრძალულია. ამ კანონის დარღვევისთვის ჯარიმა 180 ამერიკულ დოლარს შეადგენს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## იუმორი

ბიჭმა სახლში გოგონა მიიყვანა და მშობლებს ეუბნება:

— აი გაიცანით, ჩემი მეგობარი გოგონა ნათელაა. არ ეწევა, არ სვამს და არც იგინება.

— მართალია, ნათელა?

— დიახ.

— და რატომ არ ეწევი, არ სვამ და არ იგინები?

— მომბეზრდა.

●●●

ბიჭი გოგოს ტელეფონზე ეუბნება:

— ყველაფერს გავიღებდი იმისთვის, რომ ახლა შენ ჩემ გვერდით იყო.

— ახლავე მოვალ.

— სხვა დროს იყოს.

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

— უკვე ყელში ამოვიდა, დღე და ღამე კედლებს ხვრეტავ.

— თაროებს ვკიდებ!

— რვა წელი?

— ეს უკვე მეორეა.

●●●

ქვეყნის მეთაურთან შეხვედრაზე საწარმოს ერთ-ერთი თანამშრომელი პრემიერ-მინისტრს ეკითხება:

— რაზე ოცნებობთ?

— მარსზე გაფრენაზე.

— მეც.

— რა მაგარია, ერთნაირად ვოცნებობთ მარსზე გაფრენაზე.

— მთლად მასეც არ არის, ჩვენ ერთად ვოცნებობთ, რომ თქვენ მარსზე გაფრინდეთ.

●●●

ბოცმანი გემის კაპიტანს მოახსენებს:

— ბატონო კაპიტანო, თქვენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს!

— ნუ აჯანჯლებ, კარგით დაიწყე.

— გემზე ერთი ვირთხაც კი აღარ გვყავს...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— თამუნა საერთოდ ვერ მამჩნევს.

— შენც ბევრი ფული ესესხე, არ დაუბრუნო და მხოლოდ შენზე იფიქრებს!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— რა გავაკეთო, ცოლი ისტერიკაში რომ ჩავარდეს?

— უბრალოდ, არაფერი არ გააკეთო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მანჩესტერ იუნაიტედს ტონი კროოსის ყიდვა სურს



მანჩესტერ იუნაიტედი ზამთარში რამდენიმე ტრანსფერის განხორციელებას აპირებს და მისი ერთ-ერთი სამიზნე რეალის გერმანელი ნახევარმცველი ტონი კროოსი იქნება.

კროოსი რეალიდან წასვლას აპირებს, რადგან მას პრემიერ ლიგაში სურს ძალების მოსინჯვა. მანჩესტერი მზად არის, ამ ტრანსფერში სოლიდური თანხა გადაიხადოს, თუმცა რეალი ჯერჯერობით კროოსის გაყიდვას არ აპირებს.

ტონი კროოსი რეალს 2014 წელს შეუერთდა და მას შემდეგ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია. რეალთან ერთად კროოსმა ბევრი ტიტული მოიგო, მათ შორის, სამჯერ ჩემპიონთა ლიგაც.

## გაბრიელ ჟესუსმა ტრავმა მიიღო



მანჩესტერ სიტის ახალგაზრდა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა გაბრიელ ჟესუსმა მუხლის ტრავმა მიიღო და რამდენიმე მატჩის გამოტოვება მოუწევს.

ჟესუსმა თავის ტრავმაზე ისაუბრა და თქვა, რომ ის სერიოზული არ არის.

— სამწუხაროა, რომ ტრავმა მივიღე, მაგრამ ოპერაცია საჭირო არ არის, სავარაუდოდ, მოედანზე მალე დავბრუნდები და ჩემს გუნდს დავეხმარები, — განაცხადა გაბრიელ ჟესუსმა. ტრავმა ასევე მიიღო კევინ დე ბრუინემ, რომელიც წელს სიტის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია.

## ლივერპული კოუტინიოში 180 მილიონს ითხოვს



ლივერპული ფილიპე კოუტინიოს ტრანსფერში 180 მილიონ ევროს ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში მერსისაიდელები კოუტინიოს არ გაყიდიან.

კოუტინიოს შეძენით ბარსელონაა დაინტერესებული, თუმცა, როგორც ჩანს, კატალონიურ გუნდს კვლავინდებურად ექნება სირთულეები ამ საკითხთან დაკავშირებით.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ კოუტინიოს ბარსელონაში სურს კარიერის გაგრძელება, მაგრამ ლივერპული თავისი ერთ-ერთი ლიდერის იოლად დათმობას არ აპირებს.

აღსანიშნავია, რომ კოუტინიომ ლივერპულის ბოლო შეხვედრა გამოტოვა.

## ერნესტო ვალვერდე: „დემბელეს ბევრი შრომა დასჭირდება"


© picture-alliance/dpa/EFE/L. Tejido

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ უსმან დემბელეს დაბრუნებაზე ისაუბრა და თქვა რომ დემბელეს ბევრი შრომა დასჭირდება.

ვალვერდეს აზრით, დემბელე შეძლებს ძველი ფორმის აღდგენას.

— დემბელეს ძირითად შემადგენლობაში დასაბრუნებლად ბრძოლა დასჭირდება და ვფიქრობ, რომ ის ამის გაკეთებას მოახერხებს, რადგან უსმანი ძალიან ნიჭიერი და შრომისმოყვარე ფეხბურთელია. მჯერა, რომ ის თავისი გოლებით ბევრჯერ გაგვახარებს, — განაცხადა ერნესტო ვალვერდემ.

დემბელე მოედანზე უახლოეს დღეებში დაბრუნდება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. სამიჯნურო ხასიათის, ოთხსტრიქონიანი სპარსული ლექსი; 2. მუსიკალური ინტერვალი; 3. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად: 4. ინფექციური დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმი; 6. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 8. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 11. სახელმწიფო აფრიკაში; 12. ამერიკელი ბიოქიმიკოსი, დ.ნ.მ.-ს ერთ-ერთი აღმომჩენი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 16. შავი ზღვის ძველი სახელწოდება; 17. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი; 18. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი აუქციონი.

**თარაზულად**: 1. ბრიტანელი მაგნატი, საინფორმაციო სააგენტოს დამფუძნებელი; 5. მდინარე ქციას სახელწოდება ქვემო დინებაში; 7. პირველი ქართველი მფრინავი; 9. მეცნიერის, ფილოსოფოსის, ექიმის იბნ-სინას მეორე სახელი; 10. დაკეპილი ხორცის გულიანი სვანური ორცხობილა; 13. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 14. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 15. გემის მზარეული; 19. საავადმყოფოს სახელწოდება ძველად საქართველოში; 20. ქუჩის მუსიკოსთა სახელწოდება საფრანგეთში; 21. შემაგრებული ღვინო; 22. სამკურნალო ტალახით მდიდარი ზღვის თხელი სანაპირო ზოლი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

